ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N32

ქ.თბილისი

21 ნოემბერი, 2023 წელი
$14^{00}$საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
თორნიკე ბიკაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
საბა ბუაძე
ანა გოგოლაძე
არჩილ გორდულაძე
ოთარ გრიგოლია
მამუკა გუგეშაშვილი
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ნინო კვიტაიშვილი
სალომე კობალაძე
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი
ნათია მოდებაძე
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე
ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე
დავით ფარცვანია
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო წულაძე
ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი გიორგი კობიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე;

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი გიორგი პაპავა.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ 2024 წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვანი დოკუმენტია იმ თვალსაზრისით, რომ „ქართულმა ოცნებამ" მოსახლეობას უნდა უთხრას, რა პრობლემების მოგვარებას აპირებს მათი ჯიბეებიდან ამოღებული ფულით და როგორ და რა მიმართულებით გაუმჯობესდება თბილისელების ცხოვრების ხარისხი მომავალ წელს. რას გვეუბნება 2024 წლის ბიუჯეტი? იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს ბიუჯეტი საერთოდ ვერ პასუხობს თბილისელების დაკვეთებს, პრიორიტეტებს და იმ პრობლემებს, რომლებსაც ყოველდღიურად აწყდებიან ადამიანები - არცერთი მეგა პროექტი ინფრასტრუქტურული მიმართულებით, არანაირი ქმედითი ნაბიჯი უსაფრთხოების, ეკოლოგიის და საცობების პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით. ერთადერთი, რასაც ბიუჯეტი გვეუბნება, არის ის, რომ ქალაქი განაგრძობს არსებობას და ნაკლებად განვითარებას. მისი თქმით, არავისთვის ახალი არ არის ის, რომ „ქართული ოცნება" ბიუჯეტს ყველაზე ეფექტურად პარტიული აქტივის დასასაქმებლად იყენებს და მერე ამაზე აფუძნებს თავის ძალაუფლებას, რაც არ გამორჩენია არც ევროკომისიას თავისი რეკომენდაციების ძალიან გრძელ სიაში - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების შემცირება, რადგან სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები არის ის „შავი ხვრელი", რომელსაც ხელისუფლება იყენებს პარტიული აქტივის დასასაქმებლად. კახა კალაძის მერობის პირობებში, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ა(ა)იპ-ებში, ბაღების გარდა, დასაქმებული ადამიანების და მათზე გასაცემი ხელფასების რაოდენობა 50 მილიონიდან გაზრდილია 100 მილიონამდე. ვკითხოთ თბილისელებს, ამ პერიოდში მიიღეს თუ არა ორჯერ გაუმჯობესებული სერვისი ან ორჯერ უფრო მეტი სერვისი - არცერთი და შესაბამისად, რთული ამოსაცნობი არ არის, რასთან არის დაკავშირებული ეს ზრდა. ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პირველადი ვერსიით მკვეთრად იზრდება ხელფასები და განაცხადა, რომ ხელფასები, რა თქმა უნდა, უნდა იზრდებოდეს პატიოსანი, ღირსეული საჯარო მოხელეებისთვის და არა ყველასთვის თანაბრად, რაშიც იგულისხმება ის, რომ აუდიტის მიერ მუნიციპალურ სამსახურებზე დაწერილი დასკვნები და ახლა უკვე ევროკომისიის რეკომენდაციაც გვეუბნება, რომ საჯარო სამსახურები არის პარტიული აქტივის „დასაქმების სივრცე" და ყველა დასკვნა გვეუბნება, რომ ეს ადამიანები, ფაქტობრივად, სამსახურში არ დადიან. აქედან გამომდინარე, გვაქვს უსამართლო მოცემულობა - დღევანდელი ზრდით, ზოგიერთ საჯარო მოხელეს ხელფასი ეზრდება 700-800 ლარით, ხოლო ზოგიერთის ხელფასი, ზრდის პირობებშიც კი ვერ აღწევს 800 ლარს. თბილისის ბიუჯეტი დღეს რომ არ იყოს პარტიული აქტივის დასაქმების წყარო, გვექნება სხვა მოცემულობა - კეთილსინდისიერ საჯარო მოხელეებისთვის, მათ შორის, „ეკოსერვისის" და „თბილსერვისის" თანამშრომლებისთვის, საბავშვო ბაღების პედაგოგებისა და აღმზრდელებისთვის შევძლებდით მადლობა გადაგვეხადა მათთვის ღირსეული ანაზღაურების მიცემით. ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის ამოცანაა, პირდაპირპროპორციულად უპასუხოს იმ საჭიროებებს, რაც ქალაქს აქვს და თანხა ყველაზე თანაბრად არ გადაანაწილოს, თუმცა, რომ გადავხედოთ გამგეობების დაფინანსებებს, მიუხედავად იმისა, რომ კახა კალაძის დაპირებაა ყველა უბნის თანაბარი განვითარება, ვნახავთ, რომ იქ გვაქვს ისეთი მოცემულობა, რომ ზოგიერთ უბანში 50000 ლარიანი ნაგვის ურნა დგას და ზოგიერთი უბანი, სამწუხაროდ, ნაგავსაყრელად არის ქცეული; ზოგიერთ უბანში 10000 ლარიანი გამწვანებები გვაქვს, რაც ძალიან კარგი და მისასალმებელია და ზოგიერთ უბანში სკვერიც არ არის. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ბიუჯეტი უნდა იყოს იმის გამოძახილი, რომ ეს ქალაქი არის აბსოლუტურად ყველასი, 3500 ავარიულ სახლში მცხოვრები მოქალაქეების, რომლებიც ყოველწლიურად ელოდებიან თავისი სახლების გამაგრებას, იმ შშმ პირების, უსინათლოების, ბაღის და სკოლის მოსწავლეების, ვისთვისაც ელემენტარულად უსაფრთხო გადაადგილების პირობებს ვერ ვქმნით, უფასო სასადილოებით მოსარგებლე ადამიანების, რომლებისთვისაც, მილიარდიანი ბიუჯეტის პირობებში, თეთრებსაც ვერ ვნახულობთ, რომ

ბიუჯეტი გავუზარდოთ და იმ მძიმე მოცემულობას, რომ ბიუჯეტი ყველას თანაბრად არ ეძცევა და ყველას პრობლემას თანაბრად ვერ პასუხობს, ვიღებთ იმიტომ, რომ დღეს ბიუჯეტი ორიენტირებულია „ქართული ოცნების" მიერ პარტიული აქტივის დასაქმების გზით ძალაუფლების შენარჩუნებაზე და არა რეალურ პრობლემებზე პასუხის გაცემაზე.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პირვანდელი პროექტი 2023 წლის დამკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 58000000 ლარით, რაც არ არის საბოლოო ვერსია და ის მოცულობა, რასაც საკრებულო დაამტკიცებს და ყველამ, მათ შორის ოპოზიციამაც იცის, რომ მნიშვნელოვანი ზრდა იქნება ბიუჯეტის საბოლოო ვერსიაში, თუმცა, ამაზე ისინი არ საუბრობენ. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული და ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების მიმართულებით არსად არ არის კლება და ასევე, მნიშვნელოვანი სიახლეები იქნება ახალ პროექტებთან დაკავშირებით, რაც, რა თქმა უნდა, ასახული იქნება 2024 წლის ბიუჯეტში. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები, მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მიზნით, საუბრობენ იმგვარად, თითქოს დღეს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არის საბოლოო ვერსია, თუმცა, მათაც იციან, რომ ეს ასე არ არის და პროცედურით გათვალისწინებული ნორმაა ის, რომ საკრებულომ 15 ნოემბრამდე შემოსული ბიუჯეტის პროექტი განიხილოს და რეკომენდაციებით გადამუშავებული დაუბრუნოს მერიას, ხოლო ბიუჯეტის საბოლოო ვერსია წარმოდგენილი იქნება დეკემბრის შუა რიცხვებში. გამოეხმაურა ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და განმარტა, რომ საუბარია ხელფასების 10%-იან ზრდაზე, რაც, უმრავლესობის აზრით, აუცილებელია და მომავალშიც უნდა გაგრძელდეს იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს ჰქონდეთ ღირსეული ანაზღაურება და საჯარო სექტორმა გაუძლოს იმ კონკურენციას, რაც, ანაზღაურებიდან გამომდინარე, ხდება საჯარო სექტორიდან კერძო სექტორში კადრების გადინების თვალსაზრისით. ასევე, გამოეხმაურა გამგეობებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ გამგეობების ფინანსური გაძლიერება არის საკრებულოს ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის საბოლოო ვერსიაში. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, მრავალად არის წარმოდგენილი, როგორც უმრავლესობის, ასევე, ოპოზიციის რეკომენდაციები და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ ბიუჯეტის გადამუშავებული და საბოლოო ვერსიის წარმოდგენამდე დარჩენილი პერიოდი მაქსიმალურად გამოიყენონ იმისთვის, რომ გათვალისწინებული იყოს დღეს წარმოდგენილი ყველა რეკომენდაცია.

ირაკლი ხელაძე გამოეხმაურა ანა გოგოლაძეს, რომელმაც, მისი თქმით, „ცოტა პესიმისტურად" დაიწყო გამოსვლა, კარგი არაფერი უთქვამს და „კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა" 2024 წლის ბიუჯეტი და მიმართა მას: „ზოგადად, თქვენ დამოკიდებულებას თუ შევხედავთ ბოლო წლებიდან გამომდინარე, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოპოზიციას მხარი დაეჭირა რაიმე დაინიცირებული პროექტისთვის თუ პროგრამისთვის. ეს არის თქვენი დღის წესრიგი, ცდილობთ, რომ ამ დღის წესრიგში ჩაითრიოთ საზოგადოება და იგივეს მცდელობა გაქვთ 2024 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ეს არის პირველადი ვერსია, ეს არის გარკვეულწილად მსჯელობის გახსნა, ჩამოყალიბების, პარამეტრების გადახედვის და რეკომენდაციების შემუშავების პროცესი. საკრებულოში, ყველა დარგობრივმა კომისიამ განიხილა ბიუჯეტის პროექტი, შემუშავებულია რეკომენდაციები. გამგეობების გულშემატკივრებად რომ მოგვევლინეთ, ჩვენ უკვე წლებია ვსაუბრობთ, რომ აუცილებლად გაძლიერებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს რაიონული გამგეობების მიმართულება." განაცხადა, რომ გაუგებარია, როგორ შეიძლება ამ ბიუჯეტთან მიმართებაში პესიმიზმით საუბარი, როდესაც ყველაფერი მშრალი ციფრებია - ქალაქის ბიუჯეტი არის 1700000000 ლარი. როდესაც კახა კალაძე გახდა თბილისის მერი, დაახლოებით 800000000 ან ცოტა მეტი იყო ქალაქის ბიუჯეტი, ხოლო დღეს მილიარდ ლარამდე არის გარდილი, თუმცა, ოპოზიციის წარმომადგენლებს სურთ, საზოგადოება დაარწმუნონ და შეცდომაში შეიყვანონ, რომ, თითქოს, ეს არის პარტიული ბიუჯეტი, მასში არ არის სიახლეები და მნიშვნელოვანი პროექტები. ისაუბრა მეგა პროექტებზე და აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტია

დაწყებული, მათ შორის, მეგაში რომ გავიყვანოთ ისეთი პროექტებიც, მაგალითად, თემქის ხევის და სხვა დიდი, გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტები. ზოგადად, მეგა პროექტებს, სამუშაოების შესასრულებლად და დასასრულებლად, ერთი საანგარიშო წელი არ ჰყოფნის და ყველა ხედავს, რომ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება დედაქალაქში. რაც შეეხება სოციალურ მიმართულებას, განაცხადა, რომ ყველა მნიშვნელოვანი პროგრამა და პროექტი, შენარჩუნებულია, ყოველწლიურად იხვეწება და ბენეფიციართა რაოდენობა იზრდება, სწორედ გაზრდილი ფინანსური შესაძლებლობების ხარჯზე. ნებისმიერი მიმართულებით გვაქვს ძალიან კარგი პროგრამები საპენსიო ასაკის მქონე თუ სოციალურად დაუცველი პირებისთვის, ასევე, 18 წლამდე სოციალურად დაუცველი პირების ყოველთვიური დახმარება და ესენი არის ის პროგრამები და პროექტები, რომლებიც რეალურად აისახება იმ ადამიანების მდგომარეობაზე, რომლებსაც ამის საჭიროება აქეთ. მომუშავეთა რიცხოვნობის ზრდასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ 2024 წელს, საშტატო რიცხოვნობა იზრდება 15 ერთეულით, რაც არის მართლა „ზღვაში წვეთი" და განაცხადა, რომ იგივე ითქმის ბიუროკრატიულ, წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებზე. საუბრის ბოლოს, ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ასახული იქნება საკრებულოს რეკომენდაციები და ამბიციური, დიდი პროექტებიც. ეს ქალაქი გააგრძელებს განვითარებას, დახვეწას და თბილისი აუცილებლად იქნება იმაზე უკეთესი, ვიდრე იყო წინა წლების განმავლობაში.

ნინო კვიტაიშვილი გამოეხმაურა ირაკლი ხელაძის მიერ ანა გოგოლაძის გამოსვლის შეფასებას და მიმართა მას: „პესიმიზმი და ოპტიმიზმი, ზოგადად, სუბიექტური აღქმაა. მე ამას, უფრო, კრიტიკულ ანალიზს ვუწოდებდი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, იმიტომ, რომ სწორედ კრიტიკულ აზროვნებაზე დგას შემდგომ უკვე ლოგიკაც და გადაწყვეტილებებიც ამაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ამავდროულად, არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი გარემოება - როდესაც ვსაუბრობთ, რომ ჩვენ, ოპოზიცია, რომელიმე პროგრამას და ინიციატივას მხარს არ ვუჭერთ, უნდა ითქვას, რომ, ორი წლის განმავლობაში, ნაკლებად მახსენდება ოპოზიციის ინიციატივა ბიუჯეტთან თუ სხვა მიმართულებით, რომელიც თქვენი გუნდის მხრიდან იქნა მხარდაჭერილი, გათვალისწინებული და შემდგომ რეალიზებული". ისაუბრა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე და განაცხადა, რომ ალბათ არავინ შემედავება იმაში, რომ ნებისმიერი ბიუჯეტი და ქალაქი, უპირველესად არსებობს ბავშვებისთვის და მათი კეთილდღეობისთვის. აღნიშნა, რომ თავად, ზოგადად, ყველაფერს უყურებს ამ ჭრილში და თბილისის 2024 წლის ბიუჯეტსაც შეხედა იმ თვალით, თუ როგორ აკმაყოფილებს ის ბავშვების და ახალგაზრდების საჭიროებებს და რეალურად, იგივე კითხვები გაუჩნდა, რაც შარშან. ის, რომ თბილისში საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რიცხვი, 2021 წელთან შედარებით, ოთხჯერ გაიზარდა და შესაბამისად, გაიზარდა შემწეობის მიმღებ ბავშვთა რაოდენობა, ხომ ცხადყოფს იმ ფაქტორს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია შემწეობის მიღებაზე და საარსებოზე, თუმცა, ჩვენ კვლავ ვერ მივდივართ იქამდე, რომ სასკოლო კვების პროგრამა თბილისს დაგვეწყო საპილოტე რეჟიმში და და გვენახა რეალურად რა დადებითი თუ უარყოფითი მხარეები გამოვლინდება. ასევე, როდესაც საუბარია იმაზე, რომ ქალაქში ვითარდება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, არ აქვს მნიშვნელობა ეს ეხება სკოლებს თუ ბაღებს, უნდა ითქვას, რომ სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება, მის ირგვლივ არსებული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გათვალისწინების გარეშე, ვერ იქნება სიკეთის მომტანი და ისევ, ყურადღებას გავამახვილებ სასკოლო ზონირების ე.წ. „საგანმანათლებლო ზონირების" საჭიროებაზე ამ ქალაქში. ნინო კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია და ამაზე საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომიის სხდომაზეც ისაუბრა, რომ ბიუჯეტში ასახული იყოს სამაგისტრო პროგრამის წარჩინებული სტუდენტების დაფინანსება, მაგრამ აქ კვლავ არ მოხვდნენ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც უფრო მოწყვლადი ჯგუფია და ფიქრობს, რომ თუ ვინმეს სჭირდება ფინანსური მხარდაჭერა და წახალისება, ესენი არიან საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები. ასევე, ისაუბრა ხელფასების მატებაზე და აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, კარგია, რომ საბავშვო ბაღის თანამშრომლებს ეზრდებათ ხელფასები, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ანაზღაურების ზრდა იქნებოდა უფრო ეფექტიანი და შედეგის მომცემი,

თუ საბავშვო ბაღებში არ გვექნება ზედმეტად გაბერილი შტატები, თუ თანაშემწის თანაშემწეებს, არ გადავუხდით ხელფასს არაფრის კეთებაში და ამ სახსრებს რეალურად მივმართავთ ბაღის თანამშრომლების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. საუბრის ბოლოს, ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ აინტერესებს კოლეგების და ხელისუფლების ხედვა „ბასლაინებთან" მიმართებაში და კითხვით მიმართა მათ: „იმ ფონზე, როდესაც „ბასლაინებში" შხუილ-შხულით დაქრიან გაუგებარი ავტომობილები, რატომ არ შეიძლება, რომ სასკოლო ტრანსპორტს დაერთოს „ბასლაინით" სარგებლობის ნება?" აქვე აღნიშნა, რომ ეს არ ეხება მხოლოდ კერძო სკოლებს, რადგან საჯარო სკოლის მოსწავლეები, სკოლის რეაბილიტაციის გამო, დადიან სხვა სკოლებში და, ბუნებრივია, სარგებლობენ შესაბამისი ტრანსპორტით ანუ ეს ეხება საჯარო სკოლებსაც და კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს წევრებს: „მგონი, დროა დავფიქრდეთ, რომ ნებართვა გაიცეს „ბასლაინში" სასკოლო ტრანსპორტის მოძრაობაზეც".

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ, უკრაინაში დაიღუპა ორი ქართველი მებრძოლი, რამაზ ფეტელავა და ბექა ლომაშვილი. ხოლო გინტური ოკუპანტებმა მოკლეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მათი ხსოვნისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგო გარდაცვლილების ხსოვნას. გიორგი ონიანმა განაგრძო გამოსვლა და აღნიშნა, რომ საქართველოში ვეტერანები ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან, რაც არ არის მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების პრობლემა, რადგან ამ ადამიანებმა ვერცერთი ხელისუფლების დროს ვერ მიიღეს შესაბამისი დაფასება და ფინანსური მხარდაჭერა. სწორედ აქედან გამომდინარე, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" აქვს ინიციატივა, რომ ამ ადამიანებისთვის, ზამთრის პერიოდში, ხუთი თვის ვადით, 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას კომუნალური ხარჯების სუფსიდირება 200 ლარის ოდენობით. მისი თქმით, იმ ფონზე, როდესაც საუბარია იმაზე, რომ გადამუშავებული ბიუჯეტი უფრო მეტად იქნება მორგებული სოციალურ ფენებზე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ და მათ რეალურად სჭირდებათ ასეთი სახის დახმარება მუნიციპალიტეტისგან. აქვე აღნიშნა, რომ თუ საუბარი იქნება რაიმე სახის შეზღუდვაზე, შესაძლებელია გაკეთდეს შეზღუდვა, რომ ის ადამიანები, რომლებსაც წლიური შემოსავალი აქვთ 40000 ლარი ან მეტი, და ასეთი არის თავად, არ შეიყვანონ დახმარების მიმღებთა სიაში. გიორგი ონიანი გამოეხმაურა სხდომაზე გაჟღერებულ განცხადებებს, რომ საკრებულოში დღეს წარმოდგენილი 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი არის პირველადი, რაც ყველამ ვიცით, თუმცა, თუ შევხედავთ იურიდიულად სწორად, ეს არის ბიუჯეტი, რომელიც მერიამ დაინახა თავისი თვალით - რა საჭიროებებიც მერიამ დაინახა და გადმოგვიგზავნა და თუ ამ ბიუჯეტს რაიმე სასიკეთო შეემატება, ეს იქნება საკრებულოს რეკომენდაციების შედეგად შემატებული სიკეთეები და არა მერიის მიერ დანახული, რადგან საკრებულომ რომ არ გასცეს არანაირი რეკომენდაცია და თქვას, რომ ეს ბიუჯეტი მოსწონს, შემდეგი ბიუჯეტიც შემოვა ამ სახით. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ოპოზიციას შეცდომაში კი არ შეგვყავს საზოგადოება, რეალური ახსნა არის ის, რომ მერიის თვალით დანახული საჭიროებები და ბიუჯეტი არის ისეთი, როგორიც ეხლა არის წარმოდგენილი. გიორგი ონიანმა ასევე, ისაუბრა 18 მეტრიან ავტობუსებზე და აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, კარგია მათი შემოყვანა და ამას არავინ უარყოფს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს არ არის პრობლემის გადაჭრის გზა და მხოლოდ მათი შემოყვანა ვერ მოაგვარებს თბილისში საცობების მიმართულებით არსებულ ვითარებას, საჭიროა ესტაკადების მშენებლობა, კვლევების გათვალისწინება და როდესაც ვამბობთ, რომ საზოგადოება შეცდომაში არ უნდა შევიყვანოთ, პირველ რიგში, იმით არ უნდა შევიყვანოთ შეცდომაში, რომ თურმე, როგორც კი 18 მეტრიანი ავტობუსები შემოვა თბილისში, ჩვენ ძალიან ლაღად და სწრაფად შევძლებთ გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეზე.

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა გიორგი ონიანის განცხადებას და აღნიშნა, რომ არავის უთქვამს, თითქოს მხოლოდ ავტობუსების შემოყვანით მოგვარდება საცობების პრობლემა, სწორედ ამ კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ინფრასტრუქტურის მიმართულებით გამოყოფილია რამდენიმე მილიონი ლარი და გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. ხოლო რაც შეეხება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას,

საუბარია იმაზე, რომ პირველადი ბიუჯეტის მოცულობა მნიშვნელოვნად დაკორექტირდება და შესაბამისად, დეკემბერში წარმოდგენილი ბიუჯეტი თავიდანვე იქნება გაცილებით უფრო განსხვავებული, ვიდრე დღეს არის და იმის მიუხედავად, საკრებულო გასცემს თუ არა რეკომენდაციებს, ბიუჯეტის საბოლოო ვერსია, რომელიც წარმოდგენილი იქნება დასამტკიცებლად, ყველა შემთხვევაში იქნება გაზრდილი.

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, მას შემდეგ, რაც საკრებულოს წევრია, თბილისის ბიუჯეტის განხილვისას, არ ახსოვს, რომ ოპოზიციას არ ეთქვას: „ეს არის „ქართულ ოცნებაზე" მორგებული ბიუჯეტი" და განაცხადა, რომ ალბათ, მრავალგვერდიანი ბიუჯეტის წაკითხვაზე მარტივია ყოველ წელს იმეორო ერთი და იგივე. ეს ადამიანები ძალიან მიეჩვივნენ, რომ საკრებულოს სხდომაზე რაღაცას იტყვიან, რასაც გადაიღებენ ტელევიზიები, შემდეგ გავა ეთერში და მოისმენენ ადამიანები, რისი ნათელი მაგალითია დღეს, ერთ-ერთი კოლეგის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, რომ, თურმე, დედაქალაქის მერიაში მასიურად უნდა დასაქმდნენ და საქმდებიან პარტიული კოორდინატორები და მიმართა ნინო წულაძეს: „მაინტერესებს რომელი რაიონის კოორდინატორებს გულისხმობთ?.. რომელი რაიონი ლიდერობს ხოლმე კოორდინატორების დასაქმების დროს?" მისი თქმით, რამდენიმე წუთის წინ, ასევე გაჟღერდა, რომ თითქოს საჯარო ბაღებში არის გაზრდილი შტატები და უკეთესი იქნება, თუ თანაშემწეები არ ეყოლებათო ანუ ადამიანი გულისხმობს, აღმზრდელის თანაშემწეს, რომელიც მუშაობს ოცზე მეტ ბავშვიან ჯგუფში და მიმართა ნინო კვიტაიშვილს: „მაინტერესებს, აღმზრდელის თანაშემწეს თუ გულისხმობდით, რამდენი ადამიანი უნდა იყოს ჯგუფში ბავშვებთან, ოც ბავშვს რომ ყურადღება მიაქციოს და სააღმზრდელო პროცესი კარგად ჩატარდეს?" თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციის განცხადებები არის აბსოლუტურად უსაგნო და უსაფუძვლო, მისთვის გასაგებია, რომ ოპოზიციაში ყოფნისას მარტივია ილაპარაკო ყველაფერზე და იმეორო ერთი და იგივე ფრაზები, რაზეც პასუხისმგებლობა არ გაქვს, მაგრამ არსებობს რაღაც საკითხები, რაზეც უნდა დავფიქრდეთ ხოლმე.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ არ აპირებს თავისი გამოსვლის დრო დახარჯოს თინათინ ნიბლოშვილისთვის პასუხის გაცემაზე და აღნიშნა, რომ თბილისის 2024 წლის ბიუჯეტის პირველად პროექტზე პარტიამ „ხალხისთვის" მოამზადა შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც გაგზავნა შესაბამის კომისიაში. განაცხადა, რომ პარტიამ, რამდენიმე თვის წინ, დაარეგისტრირა ინიციატივა თბილისის საჯარო სკოლებში უფასო კვების დანერგვასთან დაკავშირებით, რომელიც, ნაწილობრივ, უნდა განხორციელებულიყო მუნიციპალური ბიუჯეტიდან, განათლების სამინისტროსთან კოორდინირებული თანამშრომლობით, რასთან დაკავშირებითაც, დღემდე, არც განხილვა ყოფილა და შესაბამისად, არც წარმოდგენილ ბიუჯეტშია თუნდაც ერთი პროგრამული ნაწილი, რომელიც სასკოლო კვებაზე გაამახვილებდა ყურადღებას. თუმცა, ვიხილეთ კახა კალაძის და თბილისის მერიის პიარ სამსახურის გაზრდილი ხარჯები - ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო, სადაც გაუგებარია, რა საჭიროა 59 პიარ თანამშრომელი, მათ შორის, თვრამეტი შტატიანი და ორმოცდაერთი ხელშეკრულებით დასაქმებული ადამიანი, რომელთა მივლინებებზე იხარჯება 70000 ლარი და ასევე 70000 ლარი იხარჯება კალაძის სოციალური ქსელის რეკლამებში. განაცხადა, რომ ამ არამიზნობრივ ხარჯებში გადახდილი თანხების გამო, სამწუხაროდ, 182777 სკოლის მოსწავლე ვერ ახერხებს სკოლის პერიოდში კვებას. სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია 253500 თექვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვი, რომლებიც განიცდიან შიმშილს და რომელთა 49% სიღარიბის ზღვარს ქვევითაა, მათ შორის, თბილისში არის 182777 ბავშვი და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ეს ციფრი კარგად დაიმახსოვრეთ. ისინი, ფასის გადახდის საშუალებითაც ვერ იკვებებიან იმიტომ, რომ თბილისის სკოლებში მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა და 75%-ში საკვები ობიექტი არ არის. ფული რომ გადაიხადოს, მაშინაც ვერ შეძლებს დაბალანსებულად კვებას იმიტომ, რომ ეს არის „ქართული ოცნების" პოლიტიკა - მეთერთმეტე წელია, მიუხედავად იუნისეფის მოწოდებისა, ბავშვთა კვების პროგრამა ვერ გამართეთ, იმიტომ, რომ კორუფციაშია ჩაძირული სკოლების რეაბილიტაცია და იმიტომ, რომ საკვები სივრცეები არ არის". ნინო წულაძემ განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას" პარტიული აქტივის და კოორდინატორების წახალისებისთვის აქვს

პროგრამა „სპორტი უფროსი თაობისთვის“, რომელიც არის 60 წელს ზევით მოქალაქეებისთვის და სხვა არაერთი მხარდამჭერი პროგრამა, მათ შორის, ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“, რომლის დაფინასება 2024 წელს არის 794000 ლარი, თუმცა, მისი ერთი ანგარიშიც კი არავის მოუსმენია და ვერავინ დაასახელებს, თუნდაც ერთ თბილისელ მოქალაქეს, რომელმაც უფასო იურიდიული პროფესიონალური დახმარება მიიღო, რადგან იქ დასაქმებული არიან თვითმმართველობის წარმომადგენლობის სტუდენტები, რომლებსაც შემდგომ ხელისუფლება იყენებს პროდასავლური აქციების დასარბევად. საუბრის ბოლოს, ნინო წულაძემ განაცხადა, რომ „ეს ბიუჯეტი არის „ქართული ოცნების“ ყულაბა 2024 წლის არჩევნებისთვის.“

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დედაქალაქში დაგეგმილ სიახლეებზე და აღნიშნა, რომ ცენტრალური მთავრობა ბიუჯეტიდან გამოყოფს სახსრებს მეტროს ძველი ვაგონების ჩანაცვლების მიზნით და ამ გადაწყვეტილებით, თბილისის მაცხოვრებლები და ტურისტები, რომლებიც სტუმრობენ ჩვენს ქალაქს, შეძლებენ უფრო კომფორტულ და სწრაფ გადაადგილებას. როგორც ითქვა, მოხდება 212 ვაგონის განახლება, საერთაშორისო სტანდარტებით და შესაბამისად, აქამდე განხორციელებული ცვლილებებით და მომავალში ამ გეგმის შესრულებით, ფაქტობრივად, მივიღებთ მეტროს განახლებულ შემადგენლობას. აქვე აღნიშნა, რომ ასევე, დაანონსებულია რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია, რაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტია და ყველამ ვიცით, რომ მსგავსი მასშტაბის პროექტების, როგორც სირთულე, ასევე, სიკეთე მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ დროს ხდება მიწისქვეშა კომუნიკაციების სრულად შეცვლა. ნინო ვარდოსანიძემ ასევე, ისაუბრა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ ის ფარავს ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებს - გრძელდება და იწყება ბევრი პროექტის დაფინანსება სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის მოსახლეობისთვის. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების სხდომებზე დეტალურად იქნა განხილული 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და იმედი გამოთქვა, რომ გარკვეულწილად შესაძლებელი იქნება საკრებულოს შენიშვნებისა და რეკომენდაციების ასახვა და გათვალიწინება საბოლოო ბიუჯეტში.

ირაკლი ნადირაძის თქმით, გასაგებია, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი პირველადია და დეკემბერში შემოვა გაზრდილი ბიუჯეტი და, რა თქმა უნდა, საარჩევნო წელს, მოქმედ ბიუჯეტთან შედარებით 132000000-იანი შემცირება არ იქნება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქში პრობლემები მატულობს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე, სოციალური მიმართულებით, თუმცა, მიმდინარე ბიუჯეტთან შედარებით ყველა მიმართულებით არის კლება და ერთადერთი რაც იზრდება ბიუჯეტის პირველივე პროექტში, არის ხელფასები. განაცხადა, რომ ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს ყველა მიმართულებით, რადგან, მაგალითად, სატრანსპორტო მიმართულებით თუ არ გაიზარდა ბიუჯეტი, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება როგორც ავტობუსით, ასევე, მიკროავტობუსით და მეტროთი მგზავრობა, რასაც ემატება ისიც, რომ მეტროში „ჭერი თავზე გვენგრევა“; უნდა გაიზარდოს ავარიული კორპუსების დაფინანსება; ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსება; დასუფთავების ღონისძიებები, რაც უმნიშვნელოვანესია, რადგან თბილისი, რომელიც ერთ დროს ნამდვილად იყო „სისუფთავის ქალაქი“, ნელ-ნელა ნაგვით ივსება და ე.წ. პერიფერიებში ნორმალური ნაგვის ურნებიც კი არ არის და მათი ადგილები „მინი ნაგავსაყრელებადაა“ ქცეული; აუცილებლად უნდა გაიზარდოს გამწვანების ღონისძიებები, რადგან ეს არის ჩვენი მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, მათ შორის, დიღმის ჭალების პროექტი, რომელიც არაერთგზის იქნა დაანონსებული, თუმცა, გაჩერებულია და არავინ იცის, როდის აპირებს მუნიციპალიტეტი მის განხორციელებას; აუცილებელია დაფინანსება გაიზარდოს ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და სხვა მიმართულებებით. ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ განათლების მიმართულებით აქვს კონკრეტული ინიციატივები, მათ შორის, მოსწავლეთა უფასო კვება, და სკოლების და საგანმანათლებლო დაწესებულებების უსაფრთხო ზონირების პროექტი, რომლებიც, რა თქმა უნდა, ფრაქციის სახელით, გაეგზავნება ქალაქის მერს. ასევე, საუბარია ვეტერანების დახმარებაზე, რომ ხუთი თვის განვალობაში ჰქონდეთ 200 ლარიანი კომუნალური სუბსიდირება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის და მუნიციპალიტეტის მხრიდან არის

მინიმალური, რაც შეიძლება გაკეთდეს ამ ადამიანებისთვის. ისაუბრა ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით არსებულ მდგომარეობაზე და განაცხადა, რომ იმ ფონზე, როდესაც ყველაფერი ძვირდება, წარმოუდგენელია, უფასო სასადილოებისთვის გამოყოფილი თანხა კვლავ და კვლავ იყოს 1.70 ლარი. საუბრის ბოლოს, ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ პრობლემები ბევრია, მაგრამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი მოთხოვნა და მოწოდება კახა კალაძის მიმართ არის ის, რომ ასობით მილიონი ლარის დიდი ნაწილი, რომელიც დეკემბერში დაემატება ბიუჯეტს და ის ნაშთი, რომელიც აუცილებლად იქნება წლის ბოლოს, მიმართული იყოს ამ ქალაქში საცობების პრობლემის მოგვარებისკენ, რადგან ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და მწვავე საკითხი ამ ქალაქში არის სწორედ საცობები და უკვე წარმოუდგენელია გადაადგილება - ვერც სასწრაფო დახმარების მანქანა მიდის თავის დროზე მისამართზე, ვერც ბავშვი მიუყვანია მშობელს სკოლაში და ვერც სამსახურში მისულან ადამიანები დროულად. საცობები ეს ხომ არ არის მხოლოდ საათობით ტრანსპორტში ჯდომის დისკომფორტი, ეს არის, მათ შორის, ჰაერის დაბინძურების მთავარი წყარო. ეს პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით, მარტო კახა კალაძეს ორი მილიარდი ლარი აქვს დახარჯული, წლიდან წლამდე არათუ მსუბუქდება, არამედ ყოველდღიურად მძიმდება და სულ უფრო გაუსაძლისი ხდება, თუ არ გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები. მარტო ბიუჯეტის ზრდა ამას არ უშველის, ამას სჭირდება სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა, კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, კეთილი ნება და გონივრული მერი.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ კოლეგების გამოსვლაში ხედავს „საოცარ სასოწარკვეთას“ და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „ტრაგედიაა ის, რა დღეშიც თქვენ ხართ ჩავარდნილები. თქვენ გეგონათ, რომ საქართველოში იქნებოდა არეულობა, მაგრამ არის მშვიდობა. თქვენ გეგონათ, რომ საქართველოში იქნებოდა ეკონომიკური სიდუხჭირე და უბედურება, მაგრამ გვაქვს 10%-იანი ეკონომიკური ზრდა. თქვენ გეგონათ, რომ საქართველო ვერ მიიღებდა კანდიდატის სტატუსს, მაგრამ საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღო. ეს არის ძალიან დიდი ტრაგედია თქვენთვის იმიტომ, რომ საქართველოს წარმატება თქვენ არ გახარებთ, საქართველოს წარმატება თქვენთვის არის მიუღებელი. რაღაც ეტაპზე შეიძლება თქვენი ქვეყანა და ქალაქი გიყვარდეთ, მაგრამ არ გიყვართ თქვენი ქვეყანა და ქალაქი, თუ ეს ყველაფერი თქვენს ხელში არ არის. სამწუხაროდ, ეს ასეა“. ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა ტრანსპორტის მიმართულებაზე და განაცხადა, რომ იმ წლების განმავლობაში, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო ხელისუფლებაში, ერთი ლარი არ დახარჯულა ტრანსპორტის გაუმჯობესების კუთხით და მთელი ეს ტვირთი თავის თავზე აიღო „ქართულმა ოცნებამ“, პირადად კახა კალაძემ და იმ გუნდმა, რომელიც მასთან ერთად მოვიდა 2017 წელს და მანამდეც, დავით ნარმანიას მერობის პირობებში. ტრანსპორტის მიმართულებით განხორციელებული ინვესტიციები მილიარდ ლარამდეა, რაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს იქამდე, რომ ამ რეფორმის დასრულების შემდეგ, თბილისს ექნება უფრო ახალი და მოდერნიზებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ოთარ გრიგოლიამ, ასევე, ისაუბრა პრიორიტეტებზე და განაცხადა, რომ თბილისის დღევანდელი ბიუჯეტი არის ყველაზე სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი, რაც კი ყოფილა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის თბილისში. ეს არის ასევე, ინფრასტრუქტურაზე და განათლებაზე ორიენტირებული ბიუჯეტი და, რაც მთავარია, ამ წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი არის საჯარო სამსახურში დასაქმებული თითოეული ადამიანის ღირსეული ანაზღაურება და განაცხადა, რომ სწორედ აქ დევს იმ წარმატების ძირითადი ქვაკუთხედი, რომელსაც ყოველდღიურად ვხედავთ ქალაქში. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ კიდევ ერთხელ მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „მოდით, გულწრფელები ვიყოთ, ყველამ გულში ჩავიხედოთ. თქვენ ძალიან კარგად ხედავთ იმ წარმატებას, რომელიც ქალაქშია. თქვენ კარგად ხედავთ იმ ინფრასტრუქტურას, რომელიც ვითარდება. იმ გზებს, იმ კომპლექსებს, რომლებსაც თბილისის მერია აშენებს, სკვერებს, ბაღებს, განახლებულ ქუჩებს, ტრანსპორტს. თქვენ ამას ხედავთ და ხედავთ, როგორ ვითარდება ქალაქი, მაგრამ ამის აღნიშვნა თქვენ დღის წესრიგში არ შედის, სამწუხაროდ. თქვენი დღის წესრიგი არის წარსულის დღის წესრიგი, ეს არის მარცხის დღის

წესრიგი. ამ დღის წესრიგმა თქვენ მიგიყვანათ არაერთ მარცხამდე და მაინც, მიუხედავად ამ ყველაფრისა, თქვენი პოლიტიკა ვერ გადაიაზრეთ, დღემდე ხართ დესრუქციულები. ამიტომ, მინდა მოგიწოდოთ ყველას, მათ შორის, ჩვენს ოპოზიციონერ კოლეგებს, თუ ვინმეს შერჩენია რამე კეთილგონიერი, უბრალოდ შეცვალოთ თქვენი დღის წესრიგი, მოერგოთ იმ რეალობას, რომელშიც დღეს იმყოფებით და ხვალ და ზეგ დატოვოთ ადგილი თანამშრომლობისთვის იმიტომ, რომ თქვენი რიტორიკა უფრო მძაფრდება და თანამშრომლობისთვის ადგილი საერთოდ აღარ რჩება".

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ ძალიან საინტერესოა უმრავლესობის მხრიდან გაკეთებული მოწოდებები, განსაკუთრებით, ირაკლი ხელაძის სიტყვები, რომ ოპოზიცია არ თანამშრომლობს უმრავლესობასთან და მხარს არ უჭერს საკრებულოში წარმოდგენილ პროექტებს და მიმართა მას: „თქვენ თვითონ, სიტყვა-სიტყვით თქვით, რომ, რაც არ უნდა კარგი იყოს ჩვენი ინიციატივა, შანსი არ არის, რომ თქვენ მხარი დაუჭიროთ". ისაუბრა მოსახლეობაში არსებულ განწყობაზე და აღნიშნა, რომ თბილისის მოსახლეობას, ისევე, როგორც ქვეყნის უმრავლესობას, სურს იცხოვროს ევროპულ ქვეყანაში და ქალაქში, რასაც, მმართველი პარტია თითქოს მხარს უჭერს, თუმცა, მხოლოდ სიტყვებით და არა ქმედებით, რაც ჩანს თბილისის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტითაც. განაცხადა, რომ თბილისი იქნება ევროპული ქალაქი მაშინ, როდესაც მისი მთავრობა ორიენტირებული იქნება იმაზე, რაც სჭირდებათ თავისუფალ ადამიანებს იმისთვის, რომ განვითარდნენ ეკონომიურად და სოციალურად, იყვნენ თვითრეალიზებულები და თავისი შრომის ნაყოფით იცხოვრონ ღირსეულად და ამავად და ორიენტირებულები არ იყვნენ იმაზე, რაც პარტიას სჭირდება. ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა მიმართა თინათინ ნიბლოშვილს: „ამას ვიღაც ნაცები კი არ ამბობენ, შეგიძლიათ წაიკითხოთ აუდიტის დასკვნაში და ევროკომისიის რეკომენდაციებში". მისი თქმით, იმისთვის, რომ თბილისი იყოს ევროპული ქალაქი, საჭიროა, მისმა ხელმძღვანელობამ ინფრასტრუქტურაც და სერვისებიც უზრუნველყოს ისე, რომ მოქალაქეებმა იმოქმედონ თავისუფლად, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ცუდ ამინდში ვეღარ გადავაადგილდებით, რადგან ან სანიაღვრე არხები არ ფუნქციონირებს, ან ნაგავი არ არის გატანილი, ან კიდევ არსებობს მთელი რიგი პრობლემები. შარშან დაანონსებული ინფრასტრუქტურული პროექტები, წელს აღარ კეთდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას, ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურის შექმნას, ურჩევნია, რომ ადამიანები აიძულოს, ცუდ ამინდში დარჩნენ სახლში. ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა ისაუბრა საცობებზე და აღნიშნა, რომ ქალაქის ხელისუფლების თქმით, ხალხი უნდა გადავიდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე, რაც ძალიან კარგია, თუმცა, ამის არც საშუალებებია საკმარისი და არც მოქალაქეები მოგვყვებიან ამაში და იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ ქალაქის მასშტაბით, ჩაატაროს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია, მას სურს, მოქალაქეები აიძულოს გადავიდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზე, რაც ვერ მოხდება და მუდმივად იქნება ეს პრობლემა. აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „ძალიან გთხოვთ, აღნიშნული გაითვალისწინეთ ბიუჯეტის საბოლოო პროექტში". ბარბარა ჯიმელი სულაშვილი ასევე, შეეხო სოცილურ მიმართულებას, რითიც, მისი თქმით, ხელისუფლება „ძალიან ტრაბახობს" და აღნიშნა, რომ სოციალური უზრუნველყოფა აუცილებლად უნდა იყოს მოსახლეობის იმ სეგმენტისთვის, ვინც ნამდვილად რთულ სიტუაციაშია, მაგრამ ამის პარალელურად უნდა არსებობდეს ეკონომიკური ხელშეწყობა, თუმცა, ყველა ვხედავთ, რომ ქალაქში ფაქტობრივად არ არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, რადგან ხელისუფლების სურვილია, რომ მოქალაქეები დამოკიდებული იყვნენ მის პოლიტიკურ ნებაზე. საუბრის ბოლოს, მიმართა უმრავლესობის წარმომადგენლებს: „როცა გინდათ, ამბობთ, რომ ეკონომიკა იზრდება და როცა გინდათ, ამბობთ, რომ სოციალური დახმარება ბევრია საჭირო. ერთი - ეს არ არის თანმიმდევრული და მეორე - არასწორია პოლიტიკურად. ევროპული ქალაქი ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ უზრუნველყოს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის დაცვა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. დანარჩენს მოქალქეები თვითონ გადაწყვეტენ".

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ გასაკვირია, როდესაც ვამბობთ, რომ წელს არის უპრეცედენტო ბიუჯეტი, რადგან ყოველ წელს უპრეცედენტო იქნება ბიუჯეტი, თუ „არ

ჩამოიქცა ქვეყანა“ და სამოქალაქო ომი თუ არ დავიწყეთ, რადგან, ზოგადად, ბიუჯეტი ყოველ წელს იზრდება. ჩვენი პასუხისმგებლობა არის ხარჯვითი ნაწილი, სადაც, უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში, ამ ქვეყანაში არსებობს „კლიენტიზმი“ და ხმები ბიუჯეტით იყიდება, რაც არის ტრადიცია და ამ ქვეყანას მოსდევს დიდი ხანია. ეს დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია ჩვენს ქვეყანაშიც და სხვაგანაც, სადაც არის იგივე მდგომარეობა და შემდეგმა ხელისუფალმა თუ არ შეცვალა, არაფერი ეშველება ამ ქვეყანას. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციაში რომ იქნებიან, ისევ გაახსენდებათ, რა არის როდესაც სახელმწიფო სისტემასთან შედიხარ არჩევნებში და ბიუჯეტი რისთვისაა გამოყენებული. ცოტნე კობერიძემ ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე, რომელიც, მისი თქმით, ამ წლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ამ სატრანსპორტო პოლიტიკას, რითიც ოპოზიციაშიც გამოირჩევა, რადგან ფიქრობს, რომ ეს არის ერთ-ერთი მემარცხენე იდეა, რადგან მისი აზრით, ხელისუფლებას უნდა, რომ ადამიანი მოერგოს საგზაო პოლიტიკას და არა გზა ადამიანის ქცევას და უნდა, რომ ისეთი დისკომფორტული გახდეს მანქანით სიარული, რომ ვიღაცამ მანქანა სახლში დააყენოს, თუმცა ჯერ ეს ასე არ ხდება და არ მოხდება. გარდა ამისა, სხვა რამ არის უკვე სერიოზული პრობლემა - ადამიანი, რომელიც მუშაობს და ბიუჯეტში იხდის ფულს, ხედავს, რომ მის მიერ გადახდილი ფულით ნაყიდი მანქანით და ჩასხმული ბენზინით ვიღაც „ბასლაინში მიგრიალებს დაბურული შავი შუშებით“, ეს რომ იყოს სასწრაფო დახმარების ან პატრულის მანქანა, რომელსაც სირენა აქვს ჩართული, გასაგებია, მაგრამ სად ეჩქარებათ ამ ხალხს ასე? ან ვის სჯერა, რომ მათ მართლა სადმე ეჩქარებათ? აქეთ ზოლში გზა რომ იყოს, მაინც „ბასლაინში“ დადგება არა იმიტომ რომ ეჩქარება, არამედ იმიტომ რომ პრივილეგია იგრძნოს, იცოდეს, რომ „ბლატაობს და სისტემის კაცია, სტრუქტურის ტიპია და მისთვის ეს მოსულა“ და ამ დროს, როდესაც დგახარ და ამას უყურებ, ფიქრობ, რომ შენ ხარ მეორეხარისხოვანი მოქალაქე. ადამიანმა შეიძლება აიტანოს თავისუფლების რაღაც შეზღუდვები, დიდი გადასახადი, მაგრამ უთანასწორო მოპყრობა ყველაზე მეტად გაღიზიანებს, რადგან ხვდები, რომ ამის უკან დგას „გაბლატავების“ მოტივი და ის, რომ ვიღაცამ განიშნოს, რომ შენზე „მაგარი ტიპია“. ასეთი ადამიანი რომ გააჩერო და დაელაპარაკო, საუბარშიც გაგრძნობინებს, რომ თვითონ სხვა ტიპი ჰგონია ვინმე, იმიტომ, რომ იცის, სახელმწიფო ზურგს უმაგრებს ვიღაც ცხრაკლასდამთავრებულებს, ორი წიგნი რომ არ წაუკითხავთ, აგრესიულებს. ასეთი ადამიანი გადაგივლის, გადმოგივლის, რადგან მისი ცხოვრების ყაიდია ასეთი და ასეთი ხალხი რომ სახელმწიფოსთან ასოცირდება, წესით არც მმართველ გუნდს უნდა ესიამოვნოს და არც არავის. საბოლოო ჯამში, „ბასლაინი“ გახდა „პრივილეგირებულების ლაინი“ და ეს არის სერიოზული პრობლემა.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ მიუღებელია იმაზე საუბარი, თითქოს ტრანსპორტის კუთხით არაფერი გაკეთებულა და ისაუბრა ამ მიმართულებით გამოყოფილ დაფინანსებაზე და დაგეგმილ დიდ პროექტებზე. მისი თქმით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიმართულება შარშან დაფინანსებული იყო 542000000 ლარზე მეტით, წელს, ეს მაჩვენებელი გაზრდილია 127000000 ლარით, ხოლო უშუალოდ ტრანსპორტის განვითარების პროგრამა შარშანდელთან შედარებით გაზრდილია 118000000 და განსაზღვრულია 450000000 ლარით. ამასთანავე, ეს არ არის საბოლოო ზღვარი, რადგან საკრებულოს მიერ მომზადებულ რეკომენდაციებში გათვალისწინებულია დღეს არსებული რეალობა და ყველა ნახავს, როგორი იქნება ბიუჯეტის საბოლოო ვერსია. აქვე აღნიშნა, რომ მომავალი წლისთვის დაგეგმილია მე-4 ავტობაზის მშენებლობა ალექსეევკაში, 17 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, სადაც განთავსდება 18 მეტრიანი ავტობუსები, ხოლო რაც შეეხება მეტროს, მუნიციპალიტეტი ცენტრალური ბიუჯეტიდან მიიღებს 475000000 ევროს რითიც, ეტაპობრივად დაიწყება მეტროს მოძრავი შემადგენლობის ჩანაცვლება, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი შეიძენს 212 ვაგონს. ამასთანავე, 160 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსის შემოყვანის შემდეგ, გამოთავისუფლებული 8 და 10 მეტრიანი ავტობუსები გადანაწილდება საჭიროებისამებრ, გაგრძელდება ჭკვიანი შუქნიშნების პროექტის განხორციელება და ა.შ. საუბრის ბოლოს, შალვა ოგბაიძემ მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „თქვენ ისაუბრეთ და ჩვენ გავაკეთებთ აუცილებლად... ევროკავშირი ვიღაცისთვის არის საუბარი, ჩვენთვის არის საქმე... სატრანსპორტო სისტემა და

პოლიტიკა არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს და არ დასრულებულა და თუ ხელს შეგვიწყობთ, ძალიან დაგვავალებთ“.

გიორგი შარაშიძემ ისაუბრა სასტუმრო „ამბასადორში“ მიმდინარე უკანონო მშენებლობაზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური ინსპექციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს მშენებლობა, წესით, შეჩერებული უნდა იყოს, კარგად ვხედავთ, რომ იქ სამშენებლო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, რაც, მისი თქმით, აღმაშფოთებელია და აქედან გამომდინარე, სურს კითხვით მიმართოს ქალაქის მერს: „რა პასუხს გასცემს ის იმ ადამიანებს, მაგალითად აფრიკის დასახლების მაცხოვრებლებს, რომლებსაც ანალოგიური საბაბით, ვგულისხმობ უკანონო მშენებლობას, ბულდოზერებით მიადგა შესაბამისი სამსახური, დაუნგრია შენობები და ქუჩაში დატოვა ეს ადამიანები. თუ ამ ადამიანებისთვის კანონი კანონია, პრივილეგირებული ბიზნესმენებისთვის არ არის ეს კანონი კანონი?“ გიორგი შარაშიძემ აქვე აღნიშნა, რომ იგივე ბიზნესმენს, საზოგადოების დიდი პროტესტის მიუხედავად, ბათუმის ბულვარში დაუკანონდა „საკმაოდ უსახური“ შენობა, რომელიც ფაქტობრივად უკანონოდ ააშენა და მთელი ხელისუფლება ჩართული იყო იმაში, რომ მას „მწვანე შუქი ჰქონოდა ანთებული“ და საკუთარი ჩანაფიქრი ბოლომდე მიეყვანა. გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ სასტუმრო „ამბასადორის“ მშენებლობასთან დაკავშირებით ყველაზე აღმაშფოთებელი არის ის, რომ საქმე გვაქვს თბილისის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან, ანჩისხატთან, რომელსაც დაცვის საკუთარი არეალი გააჩნია და იქ, სულ რომ რამდენიმე სანტიმეტრით მაღალი შენობა დადგა, ეს იქნება არქიტექტურულ იერსახეში უხეში ჩარევა. განაცხადა, რომ, მისი აზრით, აღნიშნული არის დაუშვებელი და მიმართა საკრებულოს წევრებს: „მინდა მოგიწოდოთ, რომ ეს მშენებლობა აუცილებლად შეჩერდეს“. მისი თქმით, მუნიციპალურ სამსახურს, კანონმდებლობით აქვს უკანონო მშენებლობის დაჯარიმების, შეჩერების და დემონტაჟის უფლება და როდესაც საქმე ეხება კულტურულ მემკვიდრეობას, შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ ჯარიმამ, რა ოდენობისიც არ უნდა იყოს ის, დააკომპენსიროს „თბილისის იერსახის შეურაცხყოფა და დარღვევა“ და პირდაპირ უნდა მოხდეს ამ უკანონო მშენებლობის დემონტაჟი, რათა ეს იყოს გზავნილი ნებისმიერი ბიზნესმენისთვის თუ ადამიანისთვის, რომ „ასეთი ტიპის უკანონო ჩარევა და თარეში და თბილისის ისტორიული, კულტურული იერსახის დამახინჯება არავის არ უნდა ეპატიოს“.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ, ყველა უკანონო მშენებლობაზე უნდა მოხდეს შესაბამისი სამსახურების რეაგირება და აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, ჯარიმის გადახდა ვერ აკომპენსირებს ისტორიული არეალების და ძეგლების დაზიანებას, თუმცა, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი თბილისის მერის და საკრებულოს ინციატივა, რომ ჯარიმების ზრდა ხდება ძალიან დიდი ოდენობით, ნამდვილად იქნება შემაფერხებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც დღეს შეიძლება შეგნებულად მიდიან ჯარიმის გადახდაზე, რადგან ეს მათ უღირთ, მაგრამ, ერთ-ერთი პრევენციული ნაბიჯი იმისთვის, რომ მომავალში არ გვქონდეს ასეთი შემთხვევები არის ის, რომ ჯარიმა იქნება ასეულობით ათასი ლარი.

არჩილ გორდულაძემ განმარტა, რომ უახლოეს მომავალში პარლამენტი მიიღებს და პირველი იანვრიდან ამოქმედდება თბილისის მერის და საკრებულოს წევრების ინიციატივა, რომ იმ არეალებზე, რომლებიც არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონა, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობაზე ჯარიმა იქნება 200000 ლარი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილატაციო სამუშაოების უნებართვოდ განხორციელებაზე - 250000 ლარი, ხოლო მცირე სარეაბილატაციო სამუშაოების უნებართვოდ განხორციელებაზე - 40000 ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ჯარიმები ხუთმაგდება და ათმაგდება. რაც შეეხება დემონტაჟს, ამ მხრივ კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების თანახმად, სახელმწიფოს და მუნიპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე დაუშვებელია რაიმე სახის მშენებლობის განხორციელება და შესაძლებელია, რომ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, მოხდეს უკანონო მშენებლობის დემონტაჟი, მაგრამ კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებზე მუნიციპალიტეტს არ აქვს ასეთი შესაძლებლობა, რადგან კერძო

საკუთრება არის კონსტიტუციურად გარანტირებული უფლება და შესაბამისად, საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილება და შემდეგ დემონტაჟის განხორციელება აღსრულების მიერ. საუბრის ბოლოს, არჩილ გორდულაძემ აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მუნიციპალური ინსპექცია ვერ განახორციელებს შენობის დემონტაჟს, რადგან საკითხი ეხება კერძო საკუთრებას.

საბა ბუაძე გამოეხმაურა კოორდინატორებთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებს, განაცხადა, რომ მათთან დაკავშირებით ისეთი გაკვირვება და გაოგნება იყო, თითქოს „ქართულმა ოცნებამ" ამ ინსტიტუტზე უარი თქვა და კოორდინატორი არ იცის რას ნიშნავს და ითქვა, რომ „სად გვყავს კოორდინატორები დასაქმებულიო" და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „თიანეთის მუნიციპალიტეტში, სასაფლაოს მომვლელად გყავთ გაფორმებული 126 ადამიანი, 60 ადამიანი - ახალქალაქის სასაფლაოზე. აქვე, დასუფთავებაში გყავთ 150 ადამიანი თიანეთში და მე დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის მერია არათუ მსგავსი პრეცედენტებით არის სავსე, თბილისის მერიის სისტემა არის წამყვანი რგოლი კოორდინატორების დასაქმების და ეს ძალიან ცხადად გახდება ხილული, თუ გამოგვიგზავნიან იმ ინფორმაციას, რომელსაც ვითხოვთ თბილისის მერიიდან და „თბილსერვის ჯგუფიდან"... რა თქმა უნდა, ივანიშვილი თავისი რუსული საქმის დაფინანსებას თავის ჯიბიდან კი არ აკეთებს, აკეთებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ასეთი სამარცხვინო პროგრამებიდან, რომლებიც კორუფციონერმა ღარიბაშვილმა და კალაძემ ერთობლივად შეიმუშავეს. ეს არის, კოორდინატორებს რაც შეეხებათ - ათასობით და ათიათასობით არის მათი რაოდენობა". საბა ბუაძემ ისაუბრა იპოდრომის ტერიტორიაზე და განაცხადა, რომ გვაქვს სავალალო და კატასტროფული მოცემულობა - ეს ტერიტორია ივანიშვილმა, თავისი პირადი საკუთრებიდან, გაყიდა 80 მილიონად, რომლის ახალი მესაკუთრე არის „ვისოლ ჯგუფი" და უკვე დაგვიანონსეს, რომ ამ ქალაქში გაგრძელდება უკანასკნელი მწვანე სივრცეების „აოხრება და განადგურება", რასაც აქვს არა მხოლოდ მყისიერი ფასი ამ ქალაქისთვის, არამედ გრძელვადიანი ფასი ჩვენს სიცოცხლეზე და ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რადგან იქ, სადაც ახლა არის ფაქტობრივი ტყე, მრავალწლიანი ნარგავები და ადგილი, სადაც ადამიანები ისვენებენ, უნდა გაშენდეს მორიგი „ბეტონის ჯუნგლები" და როდესაც საუბარია იმაზე, თუ რაში უნდა იხარჯებოდეს ბიუჯეტი, ის უნდა იხარჯებოდეს სწორედ იმაში, რომ ასეთი უკანასკნელი მწვანე სივრცეები დაიბრუნოს ქალაქმა. საუბრის ბოლოს, საბა ბუაძემ განაცხადა, რომ, შემთხვევითი არ არის ეს პროექტი რომ დაკავშირებულია ქალაქის მერთან დაახლოებულ ბიზნეს ჯგუფთან - ეს არის იმის საწინდარი, რომ აქ გაგრძელდეს „ურბანული კატასროფა" ისევე, როგორც ყველა პროექტზე, რომელსაც ხელი მოჰკიდა „ვისოლ ჯგუფმა". იგივე მოხდება ყოფილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ტერიტორიაზე - ესეც „ჩაბეტონდება, ესეც განადგურდება" და ამ სივრცეების მიმართ უნდა შეიცვალოს მიდგომა და უნდა დავიწყოთ იმაზე ზრუნვა, რომ ასეთი ტერიტორიები ქალაქმა უნდა დაიბრუნოს, რაშიც, დიახ, უნდა გადავიხადოთ ბევრი ფული.

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა საბა ბუაძის გამოსვლას და მიმართა მას: „გისმენდი და ბოლომდე მაინც მეგონა, რომ სადღაც აუცილებლად იტყოდი, რომ მუნიციპალიტეტმა კი არა, ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი თანხა, 50 მილიონი გადაიხადა, იმისთვის, რომ იპოდრომი დღეს არის გაუნაშენიანებელი, იქ არ დგას მრავალსართულიანი კოპრუსები და თვითონ აშენებს თბილისის ცენტრალურ პარკს. ზუსტად იმიტომ, რომ სარეკრეაციო სივრცეები ქალაქში არის მნიშვნელოვანი და იპოდრომი არის ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტერიტორია ჩვენს ქალაქში და ჩვენი შვილებისთვის, გააკეთა ამ ადამიანმა ეს და გადმოსცა მუნიციპალიტეტს. თქვენ დღეს საუბრობთ და ერთხელ არ წამოგცდენიათ, რა მიზნით იყო გაყიდული ეს ტერიტორია თავის დროზე. ამიტომ, ეს არის კიდევ ერთი ძალიან ცუდი მცდელობა იმისი, რომ მოსახლეობა შეიყვანოთ შეცდომაში".

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა: „პირველ რიგში, მინდა, ჩვენს დედაქალაქს და მთელ საქართველოს მივულოცო ევროკომისიის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და ოპოზიციას მინდა ვთხოვო: 12 რეკომენდაციიდან, ერთ რეკომენდაციაში შეგეძლოთ თქვენი წვლილი შეგეტანათ და არ შეიტანეთ, ეს რეკომენდაცია

მეორდება ამ 9 რეკომენდაციაში და ახლა შეიტანოთ თქვენი წვლილი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე“. გამოეხმაურა ანა გოგოლაძის გამოსვლას და განაცხადა, რომ იზიარებს მის პესიმიზმს 2024 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, რადგან დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტიც და სახელმწიფოს ბიუჯეტის პროექტიც ამბობს იმას, რომ სახელმწიფოსთვისაც და დედაქალაქისთვისაც მთავარი საზრუნავი არის მოქალაქე და ადამიანი. როგორც დედაქალაქის, ასევე სახელმწიფოს ბიუჯეტი არის ისტორიული იმიტომ, რომ ასეთი ეკონომიკური ზრდა და ამ მოცულობის ბიუჯეტი ჯერ არ ყოფილა და როდესაც საუბარია იმაზე, რომ მომავალ წელს ბიუჯეტი უფრო მეტი იქნება იმიტომ, რომ სამოქალაქო ომი არ იქნება, უნდა ითქვას, რომ, დიახ, ომი არ იქნება, იქნება მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება, მათ შორის, განვითარდება ბიზნესიც, ქვეყანაც, მეტ გადასახადებსაც აიღებს სახელმწიფო და მეტ პროექტებსაც განახორციელებს. ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა სხდომაზე გაკეთებულ განცხადებებს და განაცხადა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტზე საუბრისას, არავინ ამბობს იმას, რომ ბიუჯეტი გაზრდილია, როგორ არის გადანაწილებული სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებზე, რა რაოდენობის თანხები იხარჯება ამა თუ იმ მიმართულებით და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „რატომ არ ეუბნებით ადამიანებს სიმართლეს და რატომ გინდათ, რომ თბილისელები შეცდომაში შეიყვანოთ?“ ასევე, როდესაც საუბარია ავარიული სახლების მიმართულებით არსებულ პრობლემებზე, არავინ ამბობს იმას, რომ სამი კორპუსი შენდება და 2024 წელს დაიწყება თექვსმეტი კორპუსის მშენებლობა. ხოლო ჯანდაცვისა და სოციალურ მიმართულებაზე საუბრისას არავინ ამბობს, რომ 10000000 ლარი დაემატა ამ მიმართულებას და ზოგადად, ყველამ იცის რამდენი რამ კეთდება სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების, ახალშობილთა დახმარების, სტუდენტების სწავლის დაფინანსების და სხვა კუთხით. პროექტთან „სპორტი უფროსი თაობისთვის“ დაკავშირებით გაკეთებული განცხადებიდან გამომდინარე, მიმართა ნინო წულაძეს: „თქვენ თუ გყავთ აქტივისტები და ამომრჩევლები და დარწმუნებული ვარ, არიან ასეთები, ვინც სამოც წელს ზევით არის, ვინმე მივიდა და აუზში არ ჩაუშვეს „დოლიძეს ხმა მიეცით“? ასეთი რამე ხომ არ ყოფილა? აბა, როგორ არის ეს „ოცნების ბიუჯეტი“ და არა თბილისელების ბიუჯეტი?“ ბაღის თანამშრომლების ანაზღაურებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე აღნიშნა, რომ მათ სჭირდებათ მხარდაჭერა და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ არ არიან საჯარო მოხელეები, მაინც ეზრდებათ ხელფასები. ბინათმშენებლობების და ეკონომიკის განვითარების მიმართულებით გაკეთებულ კომენტარებზე განაცხადა, რომ ამ მიმართულებებით არის ზრდა ისევე, როგორც ყველა სხვა მიმართულებით. ვლადიმერ ბოჟაძემ ასევე, ისაუბრა განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე და აღნიშნა, რომ სპორტის მიმართულებით ფაქტობრივად დასრულებულია ორი მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობა; 2024 წელს უნდა განხორციელდეს რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია; უნდა დასრულდეს უნივერსიტეტის ქუჩისა და წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია; ახალი ხიდის მშენებლობა, რომელიც ბაგებს და უნივერსიტეტის ქუჩას დააკავშირებს და ეს ყველაფერი ოპოზიციამაც კარგად იცის, თუმცა ამაზე არავინ საუბრობს და მიმართა მათ: „თბილისელებს სიმართლეს რატომ უმალავთ ან რატომ გგონიათ, რომ თბილისელებმა სიმართლე არ იციან?“

ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ზრდა ძალიან კარგია, თუმცა, ამაში გასაკვირი არაფერია, ეს ნორმალური მოვლენაა, მაგრამ, მისი აზრით, ამ ბიუჯეტს უნდა დავარქვათ „გაგებით მოეკიდეთ“. განაცხადა, რომ ეთანხმება ანა გოგოლაძეს იმაში, რომ 2024 წელს არ იწყება არცერთი მეგა პროექტი, რომელიც რეალურად მოგცემს საშუალებას განვტვირთოთ სატრანსპორტო პრობლემები, ნაგვისგან დავასუფთაოთ თბილისი, რომელიც რჩება „ნაგავსაყრელების ქალაქად“ და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „შეიძლება ერთ წელიწადში არ გამოვიდეს, მაგრამ დავიწყოთ პროცესი, რომ გვქონდეს ნაგავგადამამუშავებელი ქარხანა. რამდენი წელია ამაზეა საუბარი? არც ამ წელს არ ჩაიდო ბიუჯეტში“. ვახტანგ სურგულაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ზრდა ძალიან კარგია და ძალიან კარგი პროექტები ფინანსდება, მაგრამ არის რაღაცები, რაც საერთოდ არ არის გათვალისწინებული, თუნდაც დიღმის ჭალები, რომელიც შეიძლება გახდეს ქალაქის ცენტრალური პარკი და ამიტომ, სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით უნდა დავიწყოთ პროცესი. საუბრის ბოლოს,

გამოეხმაურა უფასო სასადილოების დაფინანსების 1.70 ლარის ოდენობით დატოვებას, განაცხადა, რომ საზოგადოებრივი კვების კარგ ობიექტში, ერთი, საშუალო ზომის, ხინკალი ღირს 1.80 ლარი და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „თხოვნაა, იქნებ, ცოტა მაინც გავზარდოთ ეს თანხა. აქ მხოლოდ პროდუქტის გაძვირებაზე არ არის საუბარი, იმ ხალხის ხელფასიც არის, ვინც იქ მუშაობს“.

ლევან არველაძემ განაცხადა, რომ გაუგებარია, რატომ არ თვლის ოპოზიცია, რომ მეგა პროექტია რუსთაველის გამზირის სრული რეაბილიცია, რომელიც ითვალისიწინებს არა მხოლოდ საგზაო სამუშაოებს, არამედ, ასევე, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, რაზეც, სამწუხაროდ, მათი მხრიდან საუბარი არ ყოფილა. ასევე, ყველამ ვიცით, რომ ცენტრალურმა მთავრობამ თავის თავზე აიღო მეტროს ვაგონების სრული ჩანაცვლების დაფინანსება, რაც საკმაოდ მასშტაბური და შეიძლება ითქვას, რომ მეგა პროექტია. ასევე, 18 მეტრიანი ავტობუსების შემოყვანა, რაც გათვალისწინებული იყო სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში და აღნიშნული დაეხმარება ამ რეფორმის ბოლომდე მიყვანას. საუბრის ბოლო, ლევან არველაძე შეეხო 2024 წლის ბიუჯეტს და იმედი გამოთქვა, რომ დეკემბერში შემოსული პროექტი იქნება მნიშვნელოვნად გაზრდილი და მასში გათვალისწინებული იქნება საკრებულოს რეკომენდაციები.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ბიუჯეტი ფასდება პრიორიტეტულობით, ხარჯეფექტურობით და შედეგით. აღნიშნა, რომ სამი წლის განმავლობაში, დაახლოებით 3400000000-მდე იყო თბილისის ბიუჯეტი და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „გადახედეთ, რა ეტყობა თბილისს, რომ ამხელა ფული არის დახარჯული? არა. იმიტომ, რომ კორუფციის დონე არის ძალიან მაღალი და შესაბამისად, თბილისის ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება, როგორც პარტიულ აქტივზე, ასევე, კორუფციაზე. ისე გაგიკვირდათ პარტიული აქტივის დასაქმება, თითქოს, კვოტები არ გქონდეთ რაიონული და ახალგაზრდული ორგანიზაციის, ვინ სად არის დასაქმებული, ვინ უნდა იაროს და ვინ არ უნდა იაროს სამსახურში... თქვენი პარტიული აქტივი მიბმულია ბიუჯეტზე... რომ ვარემონტებთ ამ მოედნებს, ვისზეა მერე იჯარით გაცემული? მუნიციპალური ბიუჯეტით ვარემონტებთ მოედანს, შემდეგ გაქირავდება არეშიძე-კალაძის საძმაკაცოზე. მოსახლეობა მაინც ვერ სარგებლობს და რა აზრი აქვს?“ ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა საკრებულოს დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე, რომელიც ეხება „მზიურის“ ტერიტორიას და აღნიშნა, რომ 2010 წელს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, „მზიურს“ და მიმდებარე ტერიტორიას, ვერეს ხეობას, მიენიჭა განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსი და შესაბამისად, იქ ყველანაირი მშენებლობა იყო აკრძალული. გუშინ, „სასწრაფო წესით“, საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიაზე შემოვიდა საკითხი, რომლითაც კახა კალაძის ინიციატივით, „მზიურის“ და ვერეს ხეობის ტერიტორიას აკლდება 12250 კვ.მ., რომელიც, პირაპირი მიყიდვის წესით, უნდა გადაეცეს ნოშრევან ნამორაძეს. მისი აზრით, დარბაზში მსხდომ უმრავლესობის წევრებს არ უნდათ რომ ხმა მისცენ ამ საკითხს და მიმართა მათ: „მოგიწოდებთ, რომ არ მისცეთ ხმა“.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ლილე ლიპარტელიანს: „ის კი არა, რომ არ გვინდა, მე, როგორც ვაკის მაჟორიტარი, გეუბნებით და გიფიქსირებთ: ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიის ამ ფუნქციით განვითარება. „მზიურს“ კი არ აკლდება, „მზიურს“ ემატება საერთაშორისო სტანდარტის აუზი, გაფართოებული ჩოგბურთის კორტები და მთელი სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც თქვენ გწყინთ. სამწუხარო ეს არის... გამოდიხარ და ამბობ, რომ „მზიურს“ აკლდება და ვიღაცას მიაქვს საკუთრებაში. ეს ხომ არ არის სიმართლე - იცი, მაგრამ ხომ უნდა შეიყვანო შეცდომაში ადამიანები“.

ლილე ლიპარტელიანმა განაგრძო გამოსვლა და კიდევ ერთხელ განაცხადა: „მზიურს“ და მის მიმდებარე ტერიტორიას, ვერეს ხეობაში, აკლდება 12250 კ.მ. მიწის ნაკვეთი და სიმბოლურ ფასად გადაეცემა ნოშრევან ნამორაძეს, რომელიც ააშენებს მრავალფუნქციურ კომპლექს, მათ შორის იქნება ჩოგბურთის მოედანი, მაგრამ იქნება ასევე, საოფისე ფართები და როდესაც

განსაკუთრებული რეკრეაციის სტატუსი ეხსნება ტერიტორიას, ეს არის მოკლება, მით უმეტეს, „მზიურისთვის“ და ვერეს ხეობისთვის.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ხსენებული ტერიტორია განვითარდება იმ ინფრასტრუქტურით, რაც დღეს არის „მზიურში“ (სპორტული, ჩოგბურთის კორტები). შესაბამისად, „მზიურის“ მიმდებარე ტერიტორიის ამ ფუნქციით განვითარება „მზიურისთვის“ და ქალაქისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და საკრებულოს უმრავლესობა ამას, რა თქმა უნდა, მხარს დაუჭერს.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ დღეს წარმოდგენილი 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პირვანდელი ვერსიაა, 2023 წლის ბიუჯეტის პირვანდელ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 200000000 ლარით, ხოლო 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით - 70000000-მდე ლარით. აბსოლუტურად ყველა ის პროგრამა, რომელიც ეხება ჯანდაცვის და სოციალურ საკითხებს და აბსოლუტურად ყველა ის ბენეფიტი, რომლითაც სარგებლობდნენ ჩვენი თანამოქალაქეები, შენარჩუნებული და გაზრდილია, ხოლო მას შემდეგ, რაც პარლამენტი დააკორექტირებს ბიუჯეტს, კიდევ უფრო გაიზრდება და მუნიციპალიტეტს ექნება ის დამატებითი პროექტები, რომლის განხორციელებაც უნდა. ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ ოპოზიცია და უმრავლესობა, თითქოს თანხმდება იმაზე, რომ სატრანსპორტო პოლიტიკა უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის და ცვლილებები საჭიროა, რადგან ევროპის აბსოლუტურად ყველა დედაქალაქმა და დიდმა ქალაქმა ეს გზა გაირა. თუმცა, ამ ქალაქებში, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ისეთი სახის და ოდენობის გადასახადებია, იგივე რომ შემოვიღოთ თბილისში, წარმოუდგენელი ამბავი მოჰყვება და როდესაც ვსაუბრობთ ევროპაზე, უნდა ითქვას, რომ ის რეგულაციები რაც ევროპაშია, ემსახურება მანქანების შემცირებას და ჩვენ ამას არ ვუმალავთ ხალხს და ვამბობთ, რომ ამისკენ არის მიმართული ჩვენი პოლიტიკაც. მისი თქმით, რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია, თავისი შენობა-ნაგებობებით არის სწორედ რომ მეგა პროექტი და ის განვითარება, რაც დაიწყო ჭავჭავაძის გამზირით, უნდა გაგრძელდეს და შეიკრას. ერთადერთი უკმაყოფილება, რაც დღეს არის და ადამიანები ნამდვილად მართლები არიან, არის ის, რომ საზოგადოების მოთხოვნას ვერ ვპასუხობთ ინფრასტრუქტურულად და იმიტომ ვყიდულობთ 18 მეტრიან ავტობუსებს, რომ მთლიანად მოვიცვათ და დავაკმაყოფილოთ ის მოთხოვნა, რაც არსებობს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის მიერ „ბასლაინით“ სარგებლობაზე გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია იმაზე, რომ „ბასლაინით“ სარგებლობენ თანამდებობის პირები, ისიც უნდა ითქვას, რომ იგივეს აკეთებს ძალიან ბევრი ბიზნესმენი და ამ მხრივ, ერთადერთი რაზეც ვთანხმდებით, არის ის, რომ მსგავსი საქციელები, ხშირ შემთხვევაში, მოქალაქეებში იწვევს უსამართლობის გრძნობას.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ არ ეგონა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ამხელა დისკუსიას თუ გამოიწვევდა, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ეს ბიუჯეტი საკრებულოში შემოვიდა პროცედურის მიხედვით, რეკომენდაციებით უბრუნდება მერიას და მხოლოდ მას შემდეგ იქნება სრულყოფილი, როდესაც საბოლოოდ გვეცოდინება, რა რაოდენობის ტრანსფერი განხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. აქვე აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, ის მეგა პროექტები, რომლის ნაკლებობაზეც საუბრობდნენ კოლეგები, სრულად იქნება შევსებული. მისი თქმით, წინა წლებშიც იყო საუბარი იმაზე, რომ ბიუჯეტი იყო პარტიული, რომელშიც გათვალისწინებული არ იყო მეგა პროექტები, თუმცა, მოსახლეობამ კარგად დაინახა, თუ რამდენი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა დედაქალაქში 2023 წელს და მომავალშიც განხორციელდება, რადგან მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ყველა პროექტში ჩართულია მოსახლეობა. კონსტანტინე ზარნაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები მუდმივად საუბრობენ, რომ ბიუჯეტი პარტიულია და მიმართა მათ: „მხოლოდ პარტიისთვის გაკეთდა პარკები, სკვერები, საგზაო ინფრასტრუქტურა, საკანალიზაციო ქსელები, ავარიული კორპუსების ჩანაცვლება? მხოლოდ პარტიისთვის კეთდება ეს თუ მოსახლეობისთვის?“ მისი თქმით, ცალკე განხილვის საგანია სატრანსპორტო პოლიტიკა და საცობების საკითხი და განმარტა, რომ ის სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც

ხორციელდება დედაქალაქში, არის ერთადერთი და უალტერნატივო მსოფლიოს მასშტაბით. როდესაც კახა კალაძის პირობებში დაიწყო ამაზე მუშაობა, თბილისში უკვე შემდგარი იყო საგზაო ინფრასტრუქტურა და ამ პირობებში გაცილებით უფრო რთულია სატრანსპორტო რეფორმის განხორციელება, ავტობუსის ზოლების გამოყოფა და საცობების პრობლემის მოგვარება, ვიდრე ისეთ ქალაქში, რომელიც საგზაო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესშია. ეს ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვება ეტაპობრივად და საბოლოო ჯამში, ჩვენ მივიღებთ გამართულ სატრანსპორტო პოლიტიკას - ისეთს, როდესაც ადამიანი იძულებული კი არ იქნება, რომ მანქანა სახლში გააჩეროს, არამედ, სიამოვნებით გააჩერებს, რადგან საზოგადოებრივ ტრანსპორტში არ იქნება ის მდგომარეობა, რაც, სამწუხაროდ, არის დღეს. კონსტანტინე ზარნაძე გამოეხმაურა ავტობუსის ზოლში „დაბურულმინებიანი" ავტომობილების სიარულს და განაცხადა, რომ არც მას მოსწონს აღნიშნული, ძალიან ცუდია, როდესაც ბიზნესმენი იქნება ის თუ რომელიმე სტრუქტურის წარმომადგენელი, ისე, რომ არსად ეჩქარება, თავისი პირადი ბიზნესისთვის, სარგებლობს ავტობუსის ზოლით და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ეს პრობლემა იქნება გადახედილი და, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, დარეგულირდება ის საკითხი, რომ ავტობუსის ზოლებმა შეასრულოს თავის ფუნქცია და რომელიმე კონკრეტული ჯგუფების თუ მოსახლეობის მხრიდან საქილიკო არ გახდეს ის პროგრამა, რომლითაც მუნიციპალიტეტმა უნდა იამაყოს. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ნინო კვიტაიშვილის განცხადებას, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის სასკოლო ინფრასტრუქტურა და სკოლის მოსწავლეების კვება და აღნიშნა, რომ ეს იგივეა, რომ საკრებულომ დედაქალაქის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ჯანდაცვის ან რომელიმე სამინისტროს პროგრამა, რადგან სასკოლო ინფრასტრუქტურა და სასკოლო მიმართულებით არსებული ნებისმიერი პრობლემა ეხება სამინისტროს და არასდროს, არანაირი გადაკვეთა არ ჰქონია მუნიციპალურ ბიუჯეტთან.

ანა კაკაბაძემ კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება მიულოცა სრულიად საქართველოს, გარდა იმ პიროვნებებისა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ მათთვის ეს იყო დამაზიანებელი და მათი მისამართით განაცხადა: „ბოდიშს გიხდით, რომ ქვეყანა განვითარდა, ბოდიშს გიხდით, რომ ქვეყანა დეკემბერში ოფიციალურად მიიღებს კანდიდატის სტატუსს. ვისაც უნდა მიიღოს საკუთარ თავზე, ვისაც უნდა, ნუ მიიღებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი კოლეგები არც კი მალავდნენ იმას, რომ ეს მათი მიზნებისთვის იქნებოდა დამაზიანებელი. ამიტომ, თქვენ გისამძიმრებთ და დანარჩენ საქართველოს ვულოცავ ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას". ანა კაკაბაძემ ისაუბრა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე, აღნიშნა, რომ ოპოზიციონერი კოლეგების მხრიდან გაჟღერდა, რომ თითქოს ბიუჯეტი არ პასუხობს ჯანდაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, რაზეც განაცხადა, რომ სურს არგუმენტირებულად გამოეხმაუროს ამ უსაფუძვლო კრიტიკას და ჩამოთვალა ის მიმართულებები, სადაც მისი თქმით, მომატებულია თანხები: დაავადებათა სკრინინგი, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი, სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პოგრამა, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება და ამასთანავე, უფრო მეტი ბენეფიციარი მიიღებს დაფინანსებას ტრანსპლანტაციის პროგრამებში. განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რას გულისხმობენ ოპოზიციონერი კოლეგები, როდესაც ამბობენ, რომ ჯანდაცვის კუთხით არსებულ მოთხოვნებს ბიუჯეტი ვერ აკმაყოფილებს, რადგან ცხადია, რომ თუ მუნიციპალური პროგრამების მიმართ იზრდება მოთხოვნა, შესაბამისად იზრდება მიწოდებაც, რაც ისევ ასე გაგრძელდება და სწორედ ამიტომ 2024 წლის ბიუჯეტს ექნება მისი მხარდაჭერა.

გურამ ოქროპირიძე გამოეხმაურა ნინო წულაძის მიერ პროგრამასთან „სპორტი უფროსი თაობისთვის" დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და განმარტა, რომ ეს არის პროგრამა, რომელიც 60 წელს გადაცილებულ ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას უფასოდ ისარგებლონ სპროტული ინფრასტრუქტურით და იქ არსებული ინვენტარით. ამიტომ, მისთვის გაუგებარია, რატომ შეიძლება ვინმეს თავში აზრად მოუვიდეს, რომ გაარკვიოს ამ ადამიანების პოლიტიკური

შეხედულებები და რატომ შეიძლება ამ პროგრამას უწოდო პოლიტიკური. აღნიშნული პროექტით სარგებლობს 700-ზე მეტი ადამიანი და იმისთვის რომ ვინმემ დაასკვნას, რომელი პოლიტიკური პარტიის მიზნებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ეს ყველაფერი, ჩატარებული უნდა ჰქონდეს ამ ადამიანების პოლიტიკური შეხედულებების კვლევა და უხერხულია ასეთი განცხადებებით მსგავსი პროგრამების დისკრედიტაცია. გურამ ოქროპირიძემ ისაუბრა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ მომავალ წელს, დიდ დიღომსა და ვარკეთილში, გაიხსნება მულტიფუნქციური კომპლექსები, რომლებიც აღჭურვილი იქნება როგორც სპორტული, ასევე, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებებით და მოემსახურება რამდენიმე ათას ადამიანს. ასევე, გრძელდება სპორტული კომპლექსების მასშტაბური რეაბილიტაცია და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე თვითკმაყოფილი უნდა იყოს და სწორედ ამიტომ არის თითოეული კომისიის მხრიდან წარმოდგენილი რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებით. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ძალიან ცუდი მოსასმენია, კონკრეტული საკითხის ხსენებისას, ვინმეს ოჯახის წევრების მიმართ „ტალახის სროლა“ და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „არის მორალური ხაზები, რომლებიც არ უნდა დავარღვიოთ და პარტიული რესურსისთვის ბიუჯეტის გამოყენება, კლასიკური თაღლითობის მაგალითები, შეგიძლიათ თქვენი გუნდის მოქმედ წევრს, დედაქალაქის ყოფილ მერს, რომელიც გასამართლებული იყო ამ ყველაფრისთვის, ბატონ უგულავას ჰკითხოთ“.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, ბიუჯეტი მორგებულია „ქართულ ოცნებაზე“ და მიმართა მათ: „ამ დარბაზშიც ისე ლაპარაკობთ, როგორც თქვენს ტელევიზიებში. იქ, იცით, რომ ოპონენტი არ გყავთ და ხალხს თვალებში ნაცარს შეაყრით“. მისი თქმით, აღნიშნული ყველას არ ეხება და, მათ შორის, არ ეხება ნინო კვიტაიშვილს, რომელმაც საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების საკითხი დააყენა დღესაც და კომისიის სხდომაზეც, სადაც მიიღო დაპირება, რომ კომისია იმუშავებს ამ თემაზე. აღნიშნული არის საგნობრივი საუბარი, რასაც ვერ ვიტყვით ზოგიერთ კოლეგაზე, რომლებიც საუბრობენ აგიტატორების დასაქმებაზე და ისე გამოჰყავთ, თითქოს ჩვენ ვეძებთ უმუშევარ ადამიანებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ელემენტარულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მიგვყავს საარჩევნო შტაბში. აქედან გამომდინარე მიმართა კოლეგებს: „რა დასაქმებაზე მელაპარაკებით და რა სასაფლაოებზე?.. არ გრცხვენიათ?“ კახაბერ ლაბუჩიძის თქმით, ამ ყველაფერთან ერთად, მთავარია უვიცობა, რადგან გამოვიდა ახალგაზრდა ადამიანი და განაცხადა, რომ „თბილისის ადვოკატი“ არავის დახმარებია, მაშინ, როდესაც მხოლოდ ისნის რაიონში, 1900-მა მოქალაქემ ისარგებლა მათი მომსახურებით.

ნინო რუხაძის თქმით, დასანანია, რომ ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის განხილვისას შინაარსობრივი მსჯელობის ნაცვლად, ვისმენთ ისეთ პოლიტიკურ განცხადებებს, რომლებიც ეყრდნობა არაინფორმირებულობას, არის შეცდომაში შემყვანი და, ზოგ შემთხვევაში, მავნებლურიც კი, რადგან სწორედ რომ „მავნებლობაა“ თავს დაესხა პროგრამებს, რომლებიც არის ამ ქალაქის პროექტები, მათ შორის, პროგრამა „სპორტი უფროსი თაობისთვის“, რომელიც ძალიან ბევრი სამოც წელს გადაცილებული ადამიანისთვის არის შვების, ხალისის და სიამოვნების მიმნიჭებელი. განაცხადა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი არის სწორედ ის, თუ როგორი მოპყრობაა ხანდაზმული ადამინების მიმართ და მიმართა ნინო წულაძეს: „რას გვთავაზობთ, რომ ეს ადამიანები საერთოდ ჩამოვწეროთ?“ თუნდაც, რომ ვისაუბროთ პროგრამაზე „თბილისის ადვოკატი“ - ის განვითარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის ბაზაზე და გამიზნული იყო სწორედ სტუდენტებისთვის, რადგან იურიდიული კლინიკა არის იურიდიული განათლების ერთ-ერთი მთავარი და ღირებული ელემენტი. ხოლო შემდგომ, ამ იურიდიული კლინიკის ბაზაზე, თბილისის მერიაში შეიქმნა ეს პროგრამა და რასაკვირველია, პირველ რიგში, იქ მიწვეული უნდა იყვნენ სტუდენტები, როგორც სტაჟიორები, რადგან ის თავდაპირველად ემსახურებოდა საგანმანათლებლო მიზნებს და ამასთანავე, კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევას თბილისის მოსახლეობისთვის. ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე, მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „მერე გიკვირთ, რატომ არ ხდება თქვენი რჩევების

გათვალისწინება. იმიტომ, რომ, ხშირ შემთხვევაში, არ ხართ კარგი მრჩეველები. ეს არის აბსოლუტურად ჰაერიდან მოტანილი იდეების ფრქვევა, ისევე, როგორიც არის სკოლაში უფასო კვება - ეს არ არის მუნიციპალიტეტის კომპეტენცია და ეს ძალიან კარგად იცით ან კიდევ სკოლების ინფრასტრუქტურის დაფინანსება - ესეც არ შედის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში“.

სალომე კობალაძემ ისაუბრა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარშემო მიმდინარე მშენებლობებზე და აღნიშნა, რომ არჩილ გორდულაძის მიერ ხსენებული კანონის მიღების გათვალისწინებით და იმ მიზნით, რომ თავი ავარიდოთ მომავალ ჯარიმებს, დემონტაჟის პრობლემებს და ა.შ., აქვს ინიციატივა, რომ ისტორიულ შენობა-ნაგებობებთან მიმართებაში დაწესდეს მშენებლობის არეალის პარამეტრები, იყოს შეზღუდვა და გაცხადისება, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარშემო არის მოცემული პარამეტრები, რომელსაც ვერავინ დაარღვევს, მიუხედავად იმისა, რომელი სფეროს წარმომადგენელია, ვისი ახლობელია ან რისი გადამხდელუნარიანია. სალომე კობალაძემ ასევე, ისაუბრა ქალაქში ტროტუარების საფარის დაზინძურებაზე, რა მხრივაც, მისი თქმით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა, ჭავჭავაძის გამზირზე, რომელიც ფაქტობრივად „გადაქცეულია ცხოველების მოსასაქმებელ კუთხედ“ და ოდნავი წვიმის დროსაც ძალიან სახიფათო ხდება გადაადგილება, რადგან ფეხი ძალიან ცურავს და დაინტერესდა, რატომ არ შეიძლება, რომ მოირეცხოს ტროტუარები? აქვე აღნიშნა, რომ ის, რაც ზოგადად, გაკეთდა ტროტუარების და საფეხმავლო პრობლემების მოგვარების მიმართულებით, ძალიან კარგია, მაგრამ მშენებლობების დროს, იქნებ გავითვალისწინოთ იმ ხალხის საჭიროება, ვინც ფეხით დადის, რადგან მაგალითად, ბაგების გარკვეულ მონაკვეთზე, საერთოდ არ არის ტროტუარი, რაც ძალიან აწუხებს მოსახლეობას. სალომე კობალაძემ ასევე, ისაუბრა სადღესასწაულო სცენების მოწყობაზე, აღნიშნა, რომ ამ თემაზე ადრეც ჰქონდა ინიციატივა და ახლა, ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, ეს საკითხი გახდა აქტუალური. განაცხადა, რომ ქალაქში მოეწყო ბევრი კარგი და ლამაზი სარეკრეაციო ადგილი, რაც ძალიან კარგია და დაინტერესდა, რატომ არ შეიძლება ასეთ ადგილებში, თუნდაც რიყის პარკში, რომელიც არის ძალიან დიდი და ფაქტობრივად აუთვისებელი ტერიტორია, მოხდეს ძირითადი აქტივობების გადატანა და კიდევ ერთხელ არ შევაწუხოთ მოსახლეობა გაზეზრებული საცობებით და მოძრაობის გადაკეტვით.

გიორგი ტყემალაძემ განმარტება გააკეთა ჭავჭავაძის გამზირზე, ტროტუართან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე და აღნიშნა, რომ ამ მხრივ გარკვეული პრობლემა იყო „თი ბი სი“ ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ხეებიდან ფოთოლცვენის გამო, ფეხი ეწებებოდა ტროტუარის საფარს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტოტუარების მორეცხვა ხდება 3-4 დღეში ერთხელ, რასაც პირადად აკონტროლებს, როგორც ვაკის რაიონის მაჟორიტარი. მართალია, პერიოდულად ამ მხრივ იყო პრობლემები და შესაძლებელია ახლაც არის, თუმცა, მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ ჭავჭავაძის გამზირზე ფეხით სიარული იყოს მაქსიმალურად კომფორტული, როგორც ეს ჩაფიქრებული იყო ამ პროექტის განხორციელებისას, რითიც მუნიციპალიტეტი ამაყობს და „თავს იწონებს“. ხოლო რაც შეეხება ბაგებში გარკვეულ მონაკვეთზე ტროტუარის არარსებობას, აღნიშნა, რომ როგორც კი გაიხსნება ბაგები-უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდი, მუნიციპალიტეტს მიეცემა შესაძლებლობა დაიწყოს შესაბამისი სამუშაოები, ხოლო მანამდე, ეს არის ერთადერთი უალტერნატივო გზა და ფიზიკურად ვერ ხორციელდება ვერანაირი სამუშაოები, მათ შორის, ტროტუარების გარდა, არის სხვა პრობლემებიც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ გოგიტიძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი
თანამომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების, მდებარე ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11, საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.080.01.01.124 და N01.19.20.020.080.01.01.068) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11, ს/კ. N01.19.20.020.080.01.01.033; ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ, ს/კ. N01.19.20.020.083.01.01.005, ს/კ. N01.19.20.020.083.01.01.006 და ს/კ. N01.19.20.020.083.01.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

11. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის კორპუსი N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N368 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N492 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ. 01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

17. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N128-142-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ონურისთვის" (ს/ნ. 404475616) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

18. „ქ.თბილისში, გორგასლის ქ.N1 ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.062.027) 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლია ლორთქიფანიძისთვის (პ/ნ. 01006016607) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

19. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ლაბაძისთვის (პ/ნ. 01008024363) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

20. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტელეგრაფისთვის" (ს/ნ. 404505406) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

21. „ქ.თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.17.036.047) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/ნ. 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

22. „ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინაძე და პარტნიორებისთვის" (ს/ნ. 205294545) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

23. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N147-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.01.030.001) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დი რომასთვის" (ს/ნ. 406216027) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

24. „ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 177 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.10.14.014.052) 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის

წესით შპს „სმარტ გრუპ +“-ისთვის (ს/ნ. 405602441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

25. „ქ.თბილისში, თაყაიშვილის ქ.N4-ის მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.011.016) პირდაპირი განკარგვის წესით აკაკი კუჭაშვილისთვის (პ/ნ. 01019017918) და იზოლდა ქუთელიასთვის (პ/ნ. 01008003735) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

26. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელესთვის“ (ს/ნ. 422432665) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე
თანამომხსენებელი: გიორგი პაპავა

27. „ქალაქ თბილისში, რ.ლაღიძის ქ.N2-სა და რ.თაბუკაშვილის ქ.N46-ში (ს/კ. N01.15.04.015.001 და N01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“;

მომხსენებელი:გიორგი პაპავა

28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მიკრო/რაიონში (თბოსადგური N45) მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.017.046, ფართობი - 900 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მუხიანის IVა მ/რ, კოპრუსი 8-ისა და კოპრუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.124, ფართობი - 957 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.08.010.029, ფართობი - 1515 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.279) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქ.თბილისში, შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

33. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ. N01.10.13.015.114), ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ. N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ. N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ. N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ. N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ. N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ. N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და შპს „ l ინვესტმენტის“ (ს/ნ. 405193277) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, გორგასლის ქ.N6 (ს/კ. N01.18.05.001.006) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N343 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

34. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.N01.10.13.015.112), შარტავას ქ.N1 (ს/კ.N01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ. N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ. N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ. N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ. N01.13.02.005.006) მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ. N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და ამხანაგობა „ვაშლიჯვარი“-ს (ს/ნ. 205394633) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ.N18-ში (ს/კ. N01.10.18.006.221) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N535 განკარგულების და „მისამართზე - ქ.თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ.N18-ში (ს/კ. N01.10.18.006.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში - ი.ზ.ა „ვაშლიჯვარის“ (ს/ნ. 205394633) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ 2023 წლის 21 თებერვლის N72 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

35. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ. N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ. N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ. N01.10.06.001.115), ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ. N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ. N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ. N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ. N01.13.02.005.006) -არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და შპს „ტიფლისის“ (ს/ნ. 400232645) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი ქუჩა გორგასალი, N34, ქ.თბილისი ვახტანგ გორგასლის ქუჩა N34ბ-ში (ს/კ. 01.18.09.004.106) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N394 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

36. „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

37. „მისამართზე - ქ.თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ.N40 (ყოფილი ქუჩა აკური, N33, ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46 (ნაკვეთი 35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მისამართზე - ქ.თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.350) ახლანდელი საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.399) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

38. „მისამართზე - ქ.თბილისი, იასამნის ქ.N4 (ს/კ. N01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის შპს „გელოვანის“ (ს/კ. 405411157) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

39. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.410) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისზე; ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N4ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.21.856, N72.16.21.903, N72.16.21.035, N72.16.21.904, N72.16.21.897, N72.16.21.896, N72.16.21.002, N72.16.21.001, N72.16.21.857) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

42. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, იუმაშევის ქუჩა N22-ში (ნაკვ.04/053) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასაწყობე შენობა-ნაგებობების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

43. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისში, „ხოდაბუნების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.979; N72.16.21.078; N72.16.21.071; N01.72.16.096.001; N72.16.17.542; N72.16.21.978) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

44. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.122; N01.14.05.009.123) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N584 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

45. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.422; N81.02.21.025; N81.02.21.438; N81.02.21.421; N81.02.21.197; N81.02.21.012; N81.02.21.016; N81.02.21.437; N81.02.21.017) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

46. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.99.679; N81.02.99.666; N81.02.98.030) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

47. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ვახტანგ თედიაშვილის ქუჩა N15-ში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.12.542; N81.02.18.831; N81.02.99.882) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

48. „ქალაქ თბილისში, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13ა, N13გ, N13ბ; ქალაქი თბილისი, თამარაშვილის ქუჩასა და მდ. ვერეს შორის, გაერთიანება „სამთო ქიმია“-სა და „საქჰიდროენერგომშენი“-ს მშენებარე სახლის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, შესახვევი N55; ქალაქი თბილისი, წყნეთის ქუჩა N57ა, N57; ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N13ბ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: NN01.14.14.001.121; 01.14.14.001.122; 01.14.14.001.123; 01.14.14.001.124; 01.14.14.001.125; 01.14.14.001.126; 01.14.14.001.127; 01.14.14.001.026; 01.14.14.001.087; 01.14.14.001.088; 01.14.14.001.090; 01.14.14.001.094; 01.14.14.001.095; 01.14.14.001.097; 01.14.14.001.207; 01.14.14.001.918) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

49. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვ.08/018), (ნაკვ.08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

50. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის გურამ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

51. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

52. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთავის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

53. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩის გაგრძელების, მასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ოთხი შესახვევისთვის მაგნოლიის და აკაციის სახელების მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

54. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის სოსო ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შეხახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

55. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა აბზიანიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

56. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გია მოსეშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

57. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

58. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

59. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ელო ანდრონიკაშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელო ანდრონიკაშვილის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

60. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზურაბ მაჩხანელის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

61. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთნ მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალიოშა ჯაფარიძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

62. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში ბაგრატის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ბაგრატის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

63. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, საბატონოს ქუჩის, ჩიხების ნუმერაციის ცვლილების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

64. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, რაშიდ ბეიბუთოვის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის რაშიდ ბეიბუთოვის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

65. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გია ბერუაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის გია ბერუაშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შეახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

66. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიხარულის ქუჩის I ჩიხისთვის აკაკი გელოვანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

67. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდგორში ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის სიტუაციური ნახაზის დაზუსტების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

68. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კობა სერგიას ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

69. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

70. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთისთვის, იოანე ზოსიმეს ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

71. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, დიდების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დიდების II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. განაცხადა, რომ პირველადი ბიუჯეტი არის 1700912000 ლარის ოდენობით, რომელიც გადანაწილებულია პრიორიტეტების მიმართულებით და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი განხილულია საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მიერ.

ანა გოგოლაძემ გაიხსენა თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერის, ირაკლი ხმალაძის, მიერ 2021 წლის ივნისში გაკეთებული განცხადება: „ჩვენი სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია საზაგირო დერეფნები, რომელიც გენერალური გეგმით დადგინდა. ეს არის სარაჯიშვილი-ზღვის უბნის საზაგირო დერეფანი და ისანი-მეტრომშენი-ვაზისუბნის საზაგირო დერეფანი, რომელიც, ჩვენი კვლევის თანახმად, დღეში მოემსახურება 48000 მგზავრს“ და აღნიშნა, რომ ირაკლი ხმალაძის განცხადებას წინ უძღოდა კომპანია „სისტრას“ კვლევა, რომელშიც მუნიციპალიტეტს გადახდილი ჰქონდა რამდენიმე ათასი ლარი, თუმცა, ბოლო ორი წლის ბიუჯეტში საზაგიროებზე არანაირი თანხა არ არის გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, პრიორიტეტები შეიცვალა, მერიამ გადაწყვიტა რომ საზაგირო დერეფნები აღარ არის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი თუ რა ხდება ამ მიმართულებით? ანა გოგოლაძემ ისაუბრა 18 მეტრიან ავტობუსებზე და აღნიშნა, რომ კახა კალაძის განცხადებით, მუნიციპალიტეტმა უნდა შემოიყვანოს 200 ავტობუსი, თუმცა, წარმოდგენილი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 160 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსის შემოყვანა და დაინტერესდა, რითია განპირობებული ავტობუსების რაოდენობის 20%-იანი შემცირება? - გადავწყვიტეთ, რომ ნაკლები მოსახლეა და ხალხი აღარ მიგრირებს თბილისში, უბრალოდ გადავიტანთ 2024 წელს და დანარჩენ 40 ავტობუსს შემოვიყვანთ 2025 წელს თუ დარჩება 160-ზე და მეტი აღარ გაიზრდება ავტოპარკი ამ მიმართულებით? ანა გოგოლაძემ ასევე, ისაუბრა უფასო სასადილოებზე და განაცხადა, რომ იმ მოცემულობაში, რომ ქვეყანაში არსებული ინფლაციის გამო, იზრდება ხელფასები და პენსიები, მეგზევეებს, იგივე კილომეტრაჟის გასაკეთებლად, ვაძლევთ უფრო მეტ თანხას და გაძვირდა საქონელი და მომსახურება, მისთვის გაუგებარია, რა პრინციპით ახერხებენ უფასო სასადილოებისთვის ბიუჯეტის შენარჩუნებას 1.70 ლარზე. საუბრის ბოლოს, ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტით გაზრდილია მერიაში დასაქმებულთა რიცხოვნობა, რომელიც შეადგენს 4777-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში, მარტო შტატიანი თანამშრომლების რაოდენობა გაიზარდა 717 ერთეულით, რომ აღარაფერი ვთქვათ შტატგარეშე მოსამსახურეებზე, ხოლო სახელფასო ფონდი უნდა ყოფილიყო 98 მილიონი და დღევანდელი მონაცემებით არის 107 მილიონი ანუ ამ კუთხით გვაქვს 9 მილიონიანი ზრდა.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ შარშან, თბილისის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, ოპოზიციამ წარადგინა გაერთიანებული რეკომენდაციები და შენიშვნები, თუმცა, ბიუჯეტის დამტკიცებულ ვარიანტში ოპოზიციის არცერთი რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, სულ მცირე იმედს იტოვებს, რომ ოპოზიციის შენიშვნებისა და რეკომნდაციების განხილვის მზაობა მაინც იქნება, რათა ოცდაერთი ადამიანის შენიშვნები და რეკომენდაციები „წყალს არ გავატანოთ“ და რომელიმე პროგრამას მაინც დაეტყოს.

გაიოზ თალაკვაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს და განმარტა, რომ საზაგირო დერეფნები ისევ არის სატრანსპორტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, პროექტის განხორციელება მოითხოვს ძალიან დიდ თანხებს, კერძოდ, რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს და შესაბამისად, არ აქვს ინფორმაცია, თუ როდის განხორციელდება აღნიშნული პროექტი. რაც შეეხება 18 მეტრიანი ავტობუსების შემოყვანას, კონტრაქტი გაფორმებულია 160 ავტობუსზე და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დაემატოს რაოდენობა. უფასო სასადილოების დაფინანსებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბიუჯეტში არცერთი ხარჯი მიბმული არ არის ინფლაციაზე და ყველა მათგანი არის ტენდერიდან გამომდინარე და შესაბამისად, ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხაც წარმოდგენილია იმის მიხედვით, რაც ჯდება

ტენდერით. საშტატო ერთეულის ზრდასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შტატები არ გაზრდილა, ბიუჯეტში ასახულია სატრანსპორტო კომპანიიდან ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში თანამშრომლების გადმოყვანა.

საბა ბუაძემ ისაუბრა 18 მეტრიანი ავტობუსების შემოყვანაზე და აღნიშნა, რომ თბილისის მერიამ და საქართველოს მთავრობამ, ერთობლივად, უარი თქვეს 80 მილიონიან სესხზე, და მაშინ ითქვა, რომ ავტობუსების შესყიდვა მოხდებოდა სრულად სახელმწიფო ბიუჯეტით, თუმცა, ახლა გაირკვა, რომ სესხზეც უარი ვთქვით და ვყიდულობთ 40 ერთეულით ნაკლებ ავტობუსს. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რის საფუძველზე ვყიდულობთ ნაკლებ ავტობუსს, აღარ არის საჭირო? გვაქვს რამე ახალი შინამეურნეობის კვლევა ტრასნპორტთან მიმართებაში, რომელმაც აჩვენა, რომ არ არის ეს რაოდენობა საჭირო? რა მოცემულობა არის ისეთი, რამაც ქალაქს ორმოცი, თვრამეტმეტრიანი, ყველაზე მაღალი მგზავრგადაყვანის პოტენციალის მქონე ავტობუსები გამოაკლო? მისი თქმით, თუ არც ფინანსური ნაწილი გვაბრკოლებს, სესხზეც უარი ვთქვით და არც შინამეურნეობის კვლევა არსებობს, რომელიც ამბობს, რომ აღარ არის საჭირო ეს ავტობუსები, მაშინ სრულიად გაუგებარია რამ განაპირობა ამ ავტობუსებზე უარის თქმა და საინტერესოა, რა არის იმის პასუხი, რომ 40 ავტობუსი არ შემოვა ქალაქში. საბა ბუაძემ ასევე, ისაუბრა ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ შარშან, მისი კოლეგა საუბრობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამგზავრო ხარჯების სუბსიდირებაზე და საუბარი იყო იმაზე ბიუჯეტს ჰქონდა თუ არა ამის რესურსი. შემდეგ გაიმიჯნა, რომ სუბსიდირება ყოფილიყო მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მაგრამ შარშანდელი ბიუჯეტის განხილვის შემდეგ, როდესაც თითქოს იყო სიტყვიერი დაპირება, რომ ეს სუბსიდია იქნებოდა გათვალისწინებული და ოპოზიციის ეს ერთი, არამაპოლარიზებელი და უწყინარი რეკომენდაცია იქნებოდა გათვალისწინებული, წელსაც ამაზეა საუბარი. აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ამიტომ, როდესაც გვეტყვით, რომ, თითქოს, ვინმეს აქვს სურვილი და კეთილი ნება, რომ გაითვალისწინოს ოპოზიციის ინიციატივები, ყოველთვის გაგახსენებთ იმ ინიციატივებს, რომლებზეც თქვენ უარი თქვით და გადავადებული თანხმობა გვითხარით, მაგრამ მაინც არ გვაქვს არანაირი შედეგი.“ მისი თქმით, ამის მთავარი გამომწვევი მიზეზი არის არა ის, რომ აქ თანამშრომლობის კულტურა არ არსებობს, ვინმეს ვინმესთან საუბრის პრობლემა აქვს ან არ არსებობს საკითხები, რომლებზეც შესაძლებელია შეთანხმება, არამედ ის, რომ ამ ხელისუფლების და უმრავლესობის საჯარო პოზიცია დგას ოპოზიციასთან ართანამშრომლობაზე და კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ოპოზიციასთან ართანამშრომლობაზე როდესაც დგას მთელი თქვენი პლატფორმა, ძალიან გთხოვთ, ისრებს ჩვენზე ნუ გადმოიტანთ“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, შემოსავლების ნაწილში იზრდება დღგ-დან მიღებული შემოსავლები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგი. განმეორებითი კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ გოგიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილება ეხება სახსრების ენდოპროტეზირების პროგრამას, კერძოდ, ბენეფიციარებისთვის დაფინანსებასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივების მიზნით, წარმოდგენილია ელექტრონული მოდულის დანერგვა, რაც იწვევს წესში ცვლილების განხორციელებას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილება ეხება საგზაო მოძრაობის სქემის მომზადებას, რასაც დღეს ახორციელებს ქონების მართვის სააგენტო და აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნულის ამოღება ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი გამომდინარეობს წინა საკითხიდან და შესაბამისად, საჭიროა ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელება საკრებულოს დადგენილებაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ამოქმედების თარიღი იქნება პირველი იანვარი, ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ საგზაო მოძრაობის სქემის მომზადება ხდება ქონების მართვის სააგენტოში, დაზუსტდა, რომ შეითანხმებს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და ამასთანავე, შესულია გდ-ს და გრგ-ს დაჩქარებული მომსახურებები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და აღნიშნა, რომ საკმაოდ ხშირია შეცდომები პარკირების საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც, თანხის დაბრუნების მიზნით, ხდება წერილობითი განცხადებით მომართვა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს შეცდომით გადახდილი თანხის უკან დაბრუნების წესის გათვალისწინებას. ასევე, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს გადახდილი აქვთ პარკირების ერთი წლის საფასური, თუმცა, რამდენიმე თვეში სურთ პარკირების მოხსნა და თანხის დაბრუნება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი

პროექტით, მათ ემლევათ შესაძლებლობა, რომ ეს თანხა გადაიტანონ სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით იცვლება ცხოველის გასეირნების წესი, კერძოდ, ცხოველის გასეირნება ღია სივრცეში, მათ შორის, პარკში, სკვერში ან ბულვარში ნებადართულია მხოლოდ საბლით ან ალიკაპით, ხოლო ტრანსპორტში რჩება იგივე - საბლით და ალიკაპით ან სპეციალური კონტეინერით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების, მდებარე ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11, საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.080.01.01.124 და N01.19.20.020.080.01.01.068) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება ავარიული კორპუსის ორი მესაკუთრისთვის დასრულებული ბინების გადაცემას მათ საკუთრებაში არსებული ფართების გამოთავისუფლების სანაცვლოდ. ხსენებული ავარიული კორპუსი მდებარეობს მასივში და არის II კატეგორიის, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მათი ბინები ფაქტობრივად საცხოვრებლად გამოუსადეგარია, რაც გამოწვეულია რეაბილიტაციის პროცესში განხორციელებული სამუშაოებით, გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა მერიას. მოქალაქეებისთვის გადასაცემი ფართი ჯამში შეადგენს 128 კვ.მ.-ს, რის სანაცვლოდაც მუნიციპალიტეტი საკუთრების უფლებას იღებს ავარიულ შენობაში მდებარე 156 კვ.მ. ფართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11, ს/კ. N01.19.20.020.080.01.01.033; ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ, ს/კ. N01.19.20.020.083.01.01.005, ს/კ. N01.19.20.020.083.01.01.006 და ს/კ. N01.19.20.020.083.01.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხიც ეხება ვარკეთილის მე-3 მასივში, IV კვარტალში მდებარე ავარიულ საცხოვრებელ სახლში მაცხოვრებელი ოთხი ოჯახისთვის დასრულებული ბინების გადაცემას „არქი ვარკეთილის" კორპუსში. ხსენებული ოჯახებისთვის გადასაცემი ფართი ჯამურად შეადგენს 210 კვ.მ.-ს, რის სანაცვლოდაც მუნიციპალიტეტი საკუთრების უფლებას იღებს 215 კვ.მ. ფართზე. ასევე, ხსენებულ პირებს, რემონტის მიზნით, გადაერიცხებათ შესაბამისი დადგენილებით 1 კვ.მ.-ზე გათვალისწინებული თანხა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 404 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი პირისთვის, რომლებიც 2010 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 15

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგი. განმეორებითი კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საქართველოს საპატრიარქოსთვის დემონტირებული მასალის გადაცემა სიმბოლურ ფასად, გრიგოლ ხანძთელის სახელობის მონასტრის შემოღობვის მიზნით. აქვე

აღნიშნა, რომ ხსენებული ქონება მუნიციპალიტეტისთვის წარმოადგენს გამოუსადეგარ ქონებას და მისი საბაზრო ღირებულება შეადგენს 7400 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 294 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი პირისთვის, რომლებიც 1992-2015 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის კორპუსი N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N368 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულებაში ტექნიკური ცვლილების განხორციელება, კერძოდ, ამხანაგობა „ცისარტყელას", გლდანის I მ/რ-ში, საკუთრებაში გადაეცა 478 კვ.მ. ფართი, სველი წერტილებისა და სამზარეულოებისთვის, თუმცა, გადაცემული ფართი რეალურად შეადგენს 556 კვ.მ.-ს და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ფართში დაშვებული უზუსტობის შესწორება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N492 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულებაში ტექნიკური ცვლილების განხორციელება, კერძოდ, 2023 წლის

ოქტომბერში, დაკანონების ფარგლებში, გიორგი ლეონიძის ქუჩაზე 43 კვ.მ. ფართის პრივატიზებისას საკადასტრო კოდში დაშვებული შეცდომის გასწორება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ. 01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 2640 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 3

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგი. განმეორებითი კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N128-142-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ონურისთვის“ (ს/ნ. 404475616) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 2025 წლის პირველ აპრილამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1440 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქ.თბილისში, გორგასლის ქ.N1-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.062.027) 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლია ლორთქიფანიძისთვის (პ/ნ. 01006016607) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 900 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ლაბაძისთვის (პ/ნ. 01008024363) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 3 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 5760 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტელეგრაფისთვის“ (ს/ნ. 404505406) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება 5 წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 9360 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქ.თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.17.036.047) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016“-ისთვის (ს/ნ. 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე

წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 6000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინაძე და პარტნიორებისთვის" (ს/ნ. 205294545) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება 1 წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 5280 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N147-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.01.030.001) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დი რომასთვის" (ს/ნ. 406216027) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება 2028 წლის 3 ოქტომბრამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4560 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 177 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.10.14.014.052) 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სმარტ გრუპ +"-ისთვის (ს/ნ. 405602441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება 2028 წლის 16 მარტამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 8100 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქ.თბილისში, თაყაიშვილის ქ.N4-ის მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.011.016) პირდაპირი განკარგვის წესით აკაკი კუჭაშვილისთვის (პ/ნ. 01019017918) და იზოლდა ქუთელიასთვის (პ/ნ. 01008003735) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1296 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელესთვის" (ს/ნ. 422432665) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხორციელდება 2025 წლის 30 ნოემბრამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 7200 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქალაქ თბილისში, რ.ლაღიძის ქ.N2-სა და რ.თაბუკაშვილის ქ.N46-ში (ს/კ. N01.15.04.015.001 და N01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ რ.ლაღიძის ქ.N2-სა და რ.თაბუკაშვილის ქ.N46-ში მდებარე, ე.წ. კადეტთა კორპუსში, ბოლო წლების განმავლობაში, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მიერ, მიმდინარეობს რეაბილიტაცია, რომლის პროცესშიც, მაცხოვრებელთა წინააღმდეგობის საფუძველზე, შეთანხმდა გარკვეულწილად განსხვავებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ნამატი ფართების გადაცემას ამ პირებისთვის. აქედან გამომდინარე, დღეს არსებული პროექტი შედგენილია მათთან შეთანხმებით და წარმოდგენილი განკარგულებით თბილისის განვითარების ფონდს ეძლევა თანხმობა, რომ პროექტის საფუძველზე წარმოშობილ ნამატ ფართებზე საკუთრების სამომავლო უფლება დაუთმოს ზემოთ ხსენებულ პირებს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მიკრო/რაიონში (თბოსადგური N45) მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.017.046, ფართობი - 900 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ვაზისუბნის II მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.4-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 231000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მუხიანის IVა მ/რ, კოპრუსი 8-ისა და კოპრუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.124, ფართობი - 957 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, მუხიანის IVა მ/რ-ში, კორპუსი 8-ისა და კორპუსი 9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.2-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 150427 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ერწოს

ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.08.010.029, ფართობი - 1515 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ერწოს ქ.N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.4-მდე გადამეტების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 369616 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.279) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ნანეიშვილის ქ.N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.8-მდე გადამეტების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 838799 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქ.თბილისში, შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიამ და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ განიხილა, თუ რა გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს საკრებულომ დეკემბერში და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია მემორანდუმის ფარგლებში შპს „ათორის“ შეყვანა იმისთვის, რომ სპეცანგარიშზე არსებული აკუმულირებული თანხები გამოყენებული იქნას დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

33. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ. N01.10.13.015.114), ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ. N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ. N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ. N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ. N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ. N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ზოხუას ქ.N10, (ს/კ. N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „1 ინვესტმენტის" (ს/ნ. 405193277) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, გორგასლის ქ.N6 (ს/კ. N01.18.05.001.006) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N343 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო ორი საკითხი ერთმანეთის იდენტურია, კერძოდ, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" სპეცანგარიშის დახმარების მიზნით, განხორციელდა პრეფერენციების გაცემა გარკვეულ ობიექტებზე, სადაც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, ვერ მოხდა მინიჭებული პრეფერენციების ათვისება. შესაბამისად, წარმოდგენილია გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და საკრებულოს შესაბამისი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.N01.10.13.015.112), შარტავას ქ.N1 (ს/კ.N01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ. N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ. N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ. N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ზოხუას ქ.N10, (ს/კ. N01.13.02.005.006) მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ. N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და ამხანაგობა „ვაშლიჯვარი"-ს (ს/ნ. 205394633) მიმართ, მისამართზე - ქ.თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ.N18-ში (ს/კ. N01.10.18.006.221) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N535 განკარგულების და „მისამართზე - ქ.თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ.N18-ში (ს/კ. N01.10.18.006.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში - ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის" (ს/ნ. 205394633) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე" 2023 წლის 21 თებერვლის N72 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საკითხი

საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

35. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ. N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ. N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ. N01.10.06.001.115), ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ. N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ. N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ. N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ.თბილისი, ზოხუას ქ.N10, (ს/კ. N01.13.02.005.006) -არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „ტიფლისის" (ს/ნ. 400232645) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი ქუჩა გორგასალი, N34, ქ.თბილისი ვახტანგ გორგასლის ქუჩა N34ბ-ში (ს/კ. 01.18.09.004.106) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N394 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

36. „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს „მზიურის" კორტების მიმდებარედ არსებული ტერიტორიის განვითარებას, კერძოდ, ჩოგბურთის კორტების და პადელის მოედნის მიმართულებით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, რაშიც დაიხარჯება 25000000 ლარი. ასევე, უქმდება აქამდე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო აუზი და დახარჯულიყო 5000000-მდე ლარი.

ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა წარმოდგენილ საკითხზე და აღნიშნა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" თანახმად, გაწერილია განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსთან დაკავშირებული პროცედურები და მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა დადგენილებას იღებს ქალაქ თბილისის მერის მიმართვის საფუძველზე, რომელიც შეთანხმებულია ქალაქ თბილისის საკრებულოსთან და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, დედაქალაქის მერმა მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც, მისი თქმით, ორაზროვან პასუხს სცემს - თურმე არ მიეკუთვნება დაცულ ტერიტორიებს და ამ სახით რომ დამტკიცდეს

განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონა დედაქალაქში, წინაარმდეგი არ არის. თუმცა, არ ჩანს რისი წინააღმდეგი არ არის, რადგან არ ჩანს არც ის წერილი, თუ რა მიწერა მერიამ და არც მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელშიც წესით, გათვალისწინებული უნდა იყოს განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის მონახაზი და შესაბამისად, საკრებულოსთვის ცნობილი არ არის თუ რა პროექტი აქვს მთავრობას წარმოდგენილი. ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ როდესაც ტერიტორიას უკვე მინიჭებული აქვს სტატუსი, გაუგებარია, რა საჭიროა ახლის შექმნა? გამოდის რომ საკრებულო, ამ დოკუმენტაციით ქმნის ახალ ტერიტორიას, რომელსაც უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსი. მისი თქმით, „მზიურის“ მიმდებარე ტერიტორია თბილისისთვის არის განსაკუთრებული ზონა, როგორც ეკოლოგიურად, ასევე, იმ თვალსაზრისით, რომ იქ არის მდინარე და დატბორვის არეალია. შესაბამისად, განსაკუთრებული სტატუსი არის დამცავი ზონა, რომ იქ არ განხორციელდეს მშენებლობა და იყოს მხოლოდ მცენარეები და მწვანე ნარგავები. წარმოდგენილი პროექტით, „მზიურის“ და ვერეს ხეობის ტერიტორიას აკლდება 12250 კვ.მ. ფართობი, რაზეც საკრებულო თანახმაა იმის ფონზე, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხი გაურკვეველია. მისი თქმით, აღნიშნული არის „თაღლითობის“ ნათელი მაგალითი - თუ როგორ შეიძლება მიიღო სამშენებლო ნებართვა, ააშენო მრავალფუნქციური კომპლექსი და ჩოგბურთის მოედანს ამოფარებულმა მიიღო სასურველი სამშენებლო ნებართვა. მისი თქმით, ეკონომიკის სამინისტრო პირდაპირ ამბობს, რომ ინვესტორი, პირდაპირი მიყიდვის წესით, მიიღებს ქონებას და იმ ქონებაზე განახორციელებს 25 მილიონი ლარის ინვესტიციას ანუ გამოდის, რომ თურმე, დედაქალაქისთვის ის კი არ არის პრიორიტეტი, რომ იქ იყოს მწვანე ნარგავები, ვერეს ხეობა იყოს გახსნილი და ეს ტერიტორია დედაქალაქისთვის იყოს ფილტვები, არამედ, მწვავე ეკოლოგიურ პირობებში, მნიშვნელოვანია, რომ „ნოშრევან ნამორაძემ იქ ააშენოს მრავალფუნქციური კომპლექსი და მერე ჩოგბურთი ითამაშოს“. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ლილე ლიპარტელიანმა მიმართა საკრებულოს წევრებს: „მოგწონთ, რომ „მზიურს“ და ვერეს ხეობას უნდა მოაკლდეს ამხელა ტერიტორია?“

ნინო წულაძე დაინტერესდა, განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსის მოხსნა ითვალისწინებს თუ არა იმას, რომ იმ ტერიტორიაზე სამომავლოდ ვიხილოთ საცხოვრებელი კორპუსები ან რაიმე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ფუნქციური ზონით გათვალისწინებული დანიშნულების გარდა და მრავალფუნქციურ კოპლექსში იგულისხმება ცათამბჯენი თუ ის, რაც რეალურად სჭირდება ქალაქს.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, არანაირი იურიდიულ-სამართლებრივი პრობლემა არ არსებობს და პროცედურა არის შემდეგნაირი: თბილისის მერია აინიცირებს, შესაბამისი მომართვის საფუძველზე და ამ შემთხვევაში მომართვა იყო ეკონომიკის სამინისტროდან, რომელმაც თქვა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა უნდა მოხდეს მრავალფუნქციური კომპლექსის, ჩოგბურთის კორტების, პადელის მოედნებისა და შესაბამისი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების მშენებლობისა და ოპერირების მიზნით. სწორედ ეს არის მიზანი, რომელიც საფუძვლად დაედო მერიის შესაბამის მიმართვას და ამაში უნდა დაიხარჯოს 25000000 ლარი.

ლევან ჟორჟოლიანის გამოსვლის პარალელურად ლილე ლიპარტელიანი აკეთებდა კომენტარებს, რის გამოც, საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანს შეაწყვეტინა გამოსვლა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

37. „მისამართზე - ქ.თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ.N40 (ყოფილი ქუჩა აკური, N33, ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46 (ნაკვეთი 35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მისამართზე - ქ.თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.350) ახლანდელი საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.399) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება დაუმთავრებელ მშენებლობას, რომლის დასრულებაც ხორციელდება. კერძოდ: ბიძინა კვერნაძის ქ.N33/პავლე ასლანიდის ქ.N40-ში (ყოფილი აკურის ქ.N33, ალმასიანის ქ.N40, N42, N44, N46), უკვე აშენებულია დაზარალებულებისთვის გადასაცემი 2000 კვ.მ. ფართი, ხოლო დანარჩენი დაზარალებულების დასაკმაყოფილებლად მშენებლობა მიმდინარეობს ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ-ნის I კვარტალში, კორპუსი N7-ის მიმდებარედ, სადაც იპოთეკარებზე „ქეშად" გასაცემი თანხა, როგორც ვალდებულება, გამოაკლდა ფინანსურ მოდელს და გადავიდა საცხოვრებელ ფართებში, რადგან იპოთეკარებს უკვე დარეგისტრირებული ჰქონდათ უძრავი ქონებები. შესაბამისად, კ2 კოეფიციენტი გადაითვალა და განისაზღვრა თავიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „მისამართზე - ქ.თბილისი, იასამნის ქ.N4 (ს/კ. N01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის შპს „გელოვანის" (ს/კ. 405411157) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობის საკითხი, რომელიც მდებარეობს იასამნის ქ.N4-ში, სადაც ინვესტორზე, შპს „გელოვანზე", უკვე გაცემულია გარკვეული პრეფერენციები და ამ ეტაპზე წარმოდგენილია დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლის მიხედვითაც პირველ შვიდ საცხოვრებელ სართულს დაედება იპოთეკისა და გასხვისების აკრძალვა. იპოთეკით დატვირთვა შესაძლებელი იქნება შვიდი სართულის ზევით ბოლომდე იმ შემთხვევაში, თუ კომპანია წარმოადგენს ბანკის მემორანდუმს იმასთან დაკავშირებით, რომ პროექტს აფინანსებს მთლიანად ბანკი, ხოლო სხვა შემთხვევაში იპოთეკით დატვირთვა იქნება აკრძალული. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულების ფართებში იქნება გარკვეული მატება (აივნიდან ან პროექტიდან გამომდინარე, რომელიც ემატება პროკურატურაში მითითებულ ფართებს), გაიცემა თანხმობა, რომ აღნიშნული ფართები დაზარალებულებზე დარეგისტრირდეს შვიდი სართულის ფარგლებში, ხოლო საცხოვრებელი შვიდი სართულის აშენების შემდეგ, ინვესტორს ექნება საშუალება გაასხვისოს, მათ შორის, მერვე სართულის და ზევით ფართები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-0323291128-03 თარიღი: 18.10.2023 (განსახილველად წარმოდგენილია წერილის „ო“ პოზიცია), N12-032329259-03 თარიღი: 19.10.2023, N12-032330632-03 თარიღი: 02.11.2023, N12-032330634-03 თარიღი: 02.11.2023, N12-03233204-03 თარიღი: 16.11.2023, N12-03233205-03 თარიღი: 16.11.2023, N12-032332026-03 თარიღი: 16.11.2023 და N12-032332030-03 თარიღი: 16.11.2023 და აღნიშნა, რომ საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, მერის წერილებით წარმოდგენილ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.410) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 6671 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ერთი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისზე; ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N4ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.21.856, N72.16.21.903, N72.16.21.035, N72.16.21.904, N72.16.21.897, N72.16.21.896, N72.16.21.002, N72.16.21.001, N72.16.21.857) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 50000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ოცდაცხრამეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

42. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, იუმაშევის ქუჩა N22-ში (ნაკვ.04/053) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასაწყობე შენობა-ნაგებობების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება სასაწყობო მეურნეობის და ერთი ლოჯისტიკური ცენტრის ხუთი შენობა-ნაგებობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 2 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

43. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისში, „ხოდაბუნების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.979; N72.16.21.078; N72.16.21.071; N01.72.16.096.001; N72.16.17.542; N72.16.21.978) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 20000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება თექვსმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

44. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.122; N01.14.05.009.123) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N584 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება ერთ მიწის ნაკვეთს, სადაც იცვლება შენობა-

ნაგებობის მდებარეობა, სატრანსპორტო სქემა და ფუნქცია, კერძოდ, საცხოვრებელი ფუნქციის ნაცვლად, შენობა-ნაგებობა განვითარდება სრულად კომერციული ფუნქციით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

45. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.422; N81.02.21.025; N81.02.21.438; N81.02.21.421; N81.02.21.197; N81.02.21.012; N81.02.21.016; N81.02.21.437; N81.02.21.017) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 8000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ცხრა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

46. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.99.679; N81.02.99.666; N81.02.98.030) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 23000 კვ.მ., სადაც, სარეკრეაციო ზონა 1-ის და სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება ცხრამეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

47. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ვახტანგ თედიაშვილის ქუჩა N15-ში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.12.542; N81.02.18.831; N81.02.99.882) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ

ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 17000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ოცი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

48. „ქალაქ თბილისში, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13ა, N13გ, N13ბ; ქალაქი თბილისი, თამარაშვილის ქუჩასა და მდ. ვერეს შორის, გაერთიანება „სამთო ქიმია"-სა და „საქჰიდროენერგომშენი"-ს მშენებარე სახლის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, შესახვევი N55; ქალაქი თბილისი, წყნეთის ქუჩა N57ა, N57; ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N13ბ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: NN01.14.14.001.121; 01.14.14.001.122; 01.14.14.001.123; 01.14.14.001.124; 01.14.14.001.125; 01.14.14.001.126; 01.14.14.001.127; 01.14.14.001.026; 01.14.14.001.087; 01.14.14.001.088; 01.14.14.001.090; 01.14.14.001.094; 01.14.14.001.095; 01.14.14.001.097; 01.14.14.001.207; 01.14.14.001.918) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 23000 კვ.მ., რომელიც ვითარდება დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით განხორციელებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

49. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვ.08/018), (ნაკვ.08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

50. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის გურამ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ გურამ ფირცხალავა ცხოვრობდა ხსენებული სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე და სახელდება ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის მომართვის საფუძველზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

51. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

52. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთავის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

53. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩის გაგრძელების, მასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ოთხი შესახვევისთვის მაგნოლიის და აკაციის სახელების მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ „ლისი დეველოპმენტთან" ერთად, ახალ განვითარებულ ქუჩებს ენიჭება სახელები და აღნიშნული ხორციელდება ერთიანი კონცეფციის ფარგლებში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

54. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის სოსო ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შეხახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ ამ ქუჩის სახელდება მოხდა შეცდომით, რადგან მისთვის განკუთვნილი იყო სხვა სახელის მინიჭება და ამ ეტაპზე ხორციელდება შესწორება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

55. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა აბზიანიძის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის წინა პროექტის თანმდევი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

56. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გია მოსეშვილის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

57. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

58. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

59. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ელო ანდრონიკაშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელო ანდრონიკაშვილის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ სახელდება ხორციელდება ტერიტორიის განაშენიანებიდან გამომდინარე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

60. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზურაბ მაჩხანელის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

61. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალიოშა ჯაფარიძის I შესახვევის სახელის მინიჭების

შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

62. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში ბაგრატის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ბაგრატის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

63. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, საბატონოს ქუჩის, ჩიხების ნუმერაციის ცვლილების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

64. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, რაშიდ ბეიბუთოვის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის რაშიდ ბეიბუთოვის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

65. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გია ბერუაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის გია ბერუაშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შეახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

66. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიხარულის ქუჩის I ჩიხისთვის აკაკი გელოვანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ ჩიხი რეალურად წარმოადგენს აკაკი გელოვანის ქუჩის გაგრძელებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

67. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდგორში ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის სიტუაციური ნახაზის დაზუსტების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ შესახვევის მონავეთი კვეთს რეგისტრირებულ კერძო მიწის ნაკვეთს და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია რუკის შესწორება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

68. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კობა სერგიას ქუჩის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

69. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

70. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთისთვის, იოანე ზოსიმეს ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ ხსენებული სამი მონაკვეთი ჩამოყალიბდება ერთიან ქუჩად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

71. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, დიდების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დიდების II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 8 დადგენილება და 62 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე